# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 1 თებერვალი 2005 №20 (2343) ფასი 50 თეთრი


# თბილისი SALE



## საფეხბურთო კლუბ „თბილისის“ პრესსამსახურის ოფიციალური განცხადება

გუშინ „თბილისის“ ოფისში შედგა კლუბის დამფუძნებელთა კრება, რომელზეც გადაწყდა „თბილისის“ დღევანდელი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელის დაყენება ტრანსფერზე. ფაქტობრივად, ყველა მათგანზე არის შინაური ან უცხოური კლუბების დაინტერესება.

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრისთვის „თბილისი“ დაკომპლექტდება საკუთარი ფარმ-კლუბის და საფეხბურთო სკოლის 1987-88 წლებში დაბადებული ფეხბურთელებით.



## შიღბლოთა შიღბლობა

### ალენ ჟირესს გახოკიძე და კორღალიძე მოაკლდნენ

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი 2005 წელს თავის პირველ პრესკონფერენციას, 9 თებერვალს კი პირველ მატჩს გამართავს — თბილისში ამხანაგურად გავეჯიბრებით ლიტვის ნაკრებს. ჟირესს საამმატჩოდ გამოძახებულ ფეხბურთელთაგან ორი მოაკლდება — ტვენტელმა გოგა გახოკიძემ ჰოლანდიის სათასო მატჩში „დენ ჰააგთან“ კუნთი დაიჭიმა, ხოლო სკონტოელ ლევან კორღალიძეს ადრე ნატკენი მუხლი გაუმიზეზდა. ჟირესი დღევანდელ პრესკონფერენციაზე ნაკრების დაზუსტებულ შემადგენლობას დაასახელებს და, როგორც ამბობენ, შესაძლოა, კვიპროსიდან ანართოსისელ გიორგი ქინქლაძესაც უხმოს. თუმცა, გუშინ ქინქლაძე ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო გამოძახებული.

# უეფა ევროპას ცვლის

## ექვსი შვიდიანი და ერთი რვიანი



ლენარტ იუჰანსონი ევროპის ჩემპიონატის რეორგანიზაციაზე ფიქრობს

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გასამართი მატჩების დებულება შესაძლოა, შეიცვალოს. საქმე ისაა, რომ უეფას ალმასკომი ამზადებს ახალ პროექტს, რომლის მიხედვითაც შედგება შვიდი შესარჩევი ჯგუფი. პირველ ადგილზე გასულები პირდაპირ ფინალურ ეტაპზე მოხვდებიან, მეორე-მესამეადგილოსნები კი პლეი ოფის შვიდ საგზურს გაითამაშებენ.

რაკი ევრო 2008-ს ავსტრია და შვეიცარია ერთდროულად მასპინძლობენ, თექვსმეტიდან თოთხმეტი საგზურია თავისუფალი. ევროპის დანარჩენი 50 ქვეყანა ექვს შვიდგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება, მეშვიდეში კი რვა გუნდი იქნება.

„ეს მხოლოდ პროექტია და ამის თაობაზე ალმასკომი ხვალ იმსჯელებს“ — განაცხადა უეფას პრესმდივანმა უილიამ გაილარდმა.

უეფელები ხვალვე, ამ შეხვედრაზე იმასაც დაადგენენ, თუ რომელი ქალაქები უმასპინძლებენ 2006 და 2007 წლების ევროთასების ფინალებს.



## ალანია ქართულად ამღერდება?

### თედეევს ჰანგავა და შაშიაშვილი მოუნდა

3

# ამერი მერანთანაც გაჭენდა

**გუშინ** „ნორჩი დინამოელის“ სკოლის სტადიონზე პირველლიგელები „ამერი“ და „მერანი“ შეხვდნენ ერთმანეთს. ამხანაგური მატჩი ამერელებმა 5:1 მოიგეს.

მთავარი მწვრთნელის, გიორგი ჩიხრაძის არყოფნაში „ამერი“ საამატჩოდ მისმა თანაშემწემ გოჩა ჩიქოვანმა დამოძღვრა. გიორგი ჩიხრაძე კი მოსკოვში სამწვრთნელო კურსებზე იმყოფება.

გუნდებმა ორ-ორი შემადგენლობით ითამაშეს, მეორე ტაიმში ყველა ფეხბურთელი შეცვალეს. ამერელთაგან ორი გოლი სულიკო დავითაშვილმა გაიტანა, თითოც გიორგი დეკანოსიძემ, დავით სევასტოპულომ და გუნდის ახალწვეულმა გიზო ჯელაძემ. მერანელთაგან ერთი ბურთი გიორგი ტორონჯაძემ გაქვითა.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს „ამერი“ 3 თებერვალს ფოთის „კოლხეთთან“ გამართავს.

**ქოტე ქეჩელია**



„ამერის“ ახალწვეულმა გიზო ჯელაძემ „მერანთანაც“ გაიტანა

ტრაგედიებით სავსე საქართველოში კიდევ ერთი უბედურება მოხდა: დაიღუპა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის ლადო ბურდულის მეუღლე მედეა მახარაძე-ბურდული. ამ საშინელ წუთებში სარბიელელებს მხოლოდ ერთი სურვილი გვაქვს, თანადგომა ვაგრძნობინოთ ლადოსა და გარდაცვლილის სხვა ახლობლებს... თუ ეს შესაძლებელია.



საფეხბურთო კლუბი
თბილისის „დინამო“
ღრმა მწუხარებას
გამოთქვამს დინამოელი
ლადო ბურდულის
მეუღლის
მედეა მახარაძის
გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი
ვლადიკავკაზის
„ალანია“
თანაუგრძნობს
ლადო ბურდულს
მეუღლის
გარდაცვალების გამო

სარბიელელები
სამძიმარს ვუცხადებთ
ცნობილ ქართველ
ფეხბურთელს
სერგო კოტრიკაძეს
შვილის
დავით კოტრიკაძის
გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფესიული
ფეხბურთის ლიგა
თანაუგრძნობს გამოჩენილ
ქართველ ფეხბურთელს
სერგო კოტრიკაძეს
შვილის
დავით კოტრიკაძის
გარდაცვალების გამო

**საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს სული თუ უდგას და ხალხი თამაშებზე დადის, ეს ყველაზე მეტად საინტერესო ახალგაზრდა მწვრთნელების და ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების დამსახურებაა: მათ შემოაქვთ იმედი და განცდა — საქართველოში ფეხბურთს გული კვლავ უცემს.**

**მალე უცხოეთში განათლებამიღებული ახალგაზრდა მწვრთნელიც გვეყოლება — 32 წლის გიორგი დევდარიანი სასწავლად გერმანიაში გაემგზავრება. მან „თბილისი“ მიმზიდველ გუნდად აქცია და მის ხელში რამდენიმე ძალიან საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურდა**

# ჯებირების ნგრევა



**დევდარიანი** ჯერ მანჰაიმში წავა, სადაც გერმანულ ენას საფუძვლიანად შეისწავლის, შემდეგ კი კიოლნის ცნობილ სამწვრთნელო სკოლაში შეაბიჯებს, რათა გერმანიის საფეხბურთო კავშირის მიერ ნიშანდადებული A ლიცენზია აიღოს — ყველაფერ ამისთვის ის საკუთარი ჯიბიდან გაიღებს ფულს.

„ჯოვანი ტრაპატონის და იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივად გამოცემულ წიგნშიც ამოვიკითხე, რომ მწვრთნელისთვის უმთავრესი პიროვნული თვისებაა. მწვრთნელს ადამიანებთან ურთიერთობა უნდა შეეძლოს, რათა ერთ მუშტად შეკრული გუნდი შექმნას და დიდ შედეგებს მიაღწიოს“ — ამბობს დევდარიანი და მართლაც, ის „თბილისში“ ფეხბურთელების ძმა და მეგობარი იყო, ფეხბურთელები მას ენდობოდნენ, მისი ხათრი და სიყვარული გააჩნდათ და გუნდის ჭაპანსაც კარგად ეზიდებოდნენ.

დევდარიანმა მწვრთნელობა დაიწყო საფეხბურთო სკოლა „ელექტრონში“, რომელსაც მერე „ირაო“ დაერქვა. გიორგი იქ გურამ ჩომახიძის თანაშემწე იყო და „ელექტრონში“ ექვსი წელი (!) უხელფასოდ მუშაობდა. ჯაბა კანკავა, გოჩა ხოჯავა, სანდრო იაშვილი, რევაზ გეწაძე, გოგა ფიფია, ბესო მიქიაშვილი — დღეს ამ ბიჭებს ქართულ საფეხბურთო სამყაროში და ზოგს უფრო შორსაც კარგად იცნობენ, მათ ყველამ დევდარიანის ხელში გაიარეს.

„ელექტრონის“ შემდეგ დევდარიანმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიარა ლიცენზირება, B კატეგორიის დიპლომი აიღო და გამოცდაზე სავალდებულო თემაც დაწერა — თავისეული ხედვა საქართველოში ფეხბურთის განვითარებაზე. ახალგაზრდა მწვრთნელის ნაშრომმა ყურადღება მიიქცია, რის შესახებაც „თბილისის“ მესვეურებმაც გაიგეს და დევდარიანი თავისთან მიიწვიეს.

გიორგი „თბილისში“ ჯერ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იყო, — „თბილისმა“ რამდენიმე მთავარი მწვრთნელი გამოცვალა, — შარშანწინ, შემოდგომაზე კი გუნდი დევდარიანმა ჩაიბარა.

„დასაკარგი არაფერი მქონდა და ამიტომაც გამიადვილდა გადაწყვეტილების მიღება — „თბილისი“ მაშინ ჩავიბარე, როცა გუნდი უკიდურეს მდგომარეობაში იყო, წარუმატებლად თამაშობდა. მაგრამ, ფეხბურთი სულ ვითარდება, ერთ ადგილზე არ ჩერდება და მოთხოვნებიც იზრდება კლუბის, ფეხბურთელის და მწვრთნელის მიმართ. ცხადია, მეც მეტი მომეთხოვება და ამიტომაც გადავწყვიტე გერმანიაში წასვლა, მინდა, რომ სრულფასოვანი მწვრთნელი გავხდე“ — განაგრძობს დევდარიანი.

და რა არის მწვრთნელ დევდარიანის ნაკლი?

„მეტი დიპლომატიაა საჭირო, რაც ალბათ ასაკთან ერთად მოვა. კიდევ ის, რომ მწვრთნელს ფეხბურთელებისთვის მოკლედ, ლაკონურად უნდა შეეძლოს აზრის გადმოცემა. ფეხბურთელს მწვრთნელის ნათქვამი ორი სიტყვა უფრო კარგად ჩაებეჭდება ტვინში, ვიდრე ოცდაათი სიტყვით სხვათა ნათქვამი“ — ასეთია მისი პასუხი.

„თბილისში“ დევდარიანმა მართლაც ბევრი გააკეთა, გუნდი გუნდს დაამსგავსა, ახლებურად, ლამაზად აათამაშა, ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოაჩინა და დააწინაურა. ზაალ ელიავა და რევაზ გეწაძე დევდარიანმა პირველი ლიგის გუნდებიდან მიიყვანა, დღეს ეს ფეხბურთელები ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან და მათი გადაბირებით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. დავით ოდიკაძე კი „თბილისში“ დევდარიანის მისვლამდე სამატჩო განაცხადშიც ვერ ხვდებოდა, დღეს ოდიკაძე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და ის თბილისის „დინამოს“ სურს. კიდევ გოგიტა გოგუა, ვისაც ჯემალ ჩიმაკაძის და დევდარიანის გარდა ორი-სამი წლის წინ არავის სჯეროდა.

ცალკე თემაა დევდარიანის და სანდრო იაშვილის ურთიერთობა, იმ იაშვილისა, რომელიც ახლა „რეინჯერსშია“ და ალექს მაკლიშს აწონებს თავს.

„მე ყოველთვის იაშვილის დიდი გულშემატკივარი ვიყავი და მასზე პრესაში თუ რამეს ვამბობდი, მხოლოდ მოყვარეს პირში უძრახეს პრინციპით. ბევრ ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელს ნაადრევად უჩნდება იმის ილუზია, რომ უკვე ჩამოყალიბებული მოთამაშეა და ჰგონია, რომ დიდი შრომის გარეშე შეუძლია ბევრის მიღწევა. აქ პრობლემა ჩვენი მენტალიტეტია, ფასეულობების ქართულად აღქმა. იაშვილზე ერთხელაც ვიტყვი, რომ მას დღესვე შეუძლია, საქართველოს საუკეთესო ფორვარდი იყოს“ — ასეთნაირად სჯის დევდარიანი.

საკამათო არაა, რომ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს, მაგრამ ხარისხით დიდად ნამდვილად ვერ დაიკვეხნის...

„საქართველოს ჩემპიონატი უკან მიდის, ყველა გუნდი ერთმანეთს ემსგავსება. თუ „დინამო“ სხვა გუნდების დასუსტების ხარჯზე გაძლიერდება, ეს თვითონ „დინამოსთვის“ იქნება ცუდი. მეორე ეტაპისთვის „ლოკომოტივიდან“, „ვიტ ჯორჯიადან“ და „ტორპედოდან“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი წავიდა და მათ „დინამოსთვის“ კონკურენციის გაწევა ძალიან გაუჭირდებათ. რაც შეეხება „ზესტაფონს“, ის ბევრ გუნდს დააკარგვინებს ქულებს, მაგრამ პირველ ეტაპზე ქულები ბლომად დაკარგა და ჩემპიონობისთვის ალბათ ვერ იბრძოლებს“ — მიაჩნია დევდარიანს და იქვე იმასაც ამბობს, რომ საქართველოში ფეხბურთის განვითარების გეგმა, ფაქტობრივად, არ არსებობს — „ჯობია, უკან დავბრუნდეთ და საქმე თავიდან დავიწყოთ, ვიდრე შედეგზე ვიყოთ ორიენტირებულნი. ბავშვთა მწვრთნელებმა B ლიცენზია კი აიღეს, მაგრამ საქმეს სხვანაირად აკეთებენ, უნდათ, რომ ჰყავდეთ ბევრი ბავშვი და, შესაბამისად, ჰქონდეთ ბევრი შემოსავალი. კარგად იციან მშობლის ფსიქოლოგია, ვისაც ბავშვი იმ მწვრთნელთან მიჰყავს, რომელიც ტურნირებს იგებს, მაგრამ ბავშვთა ფეხბურთში შედეგზე უფრო სხვა რამეა მნიშვნელოვანი — ფეხბურთელის სწორად აღზრდა“ — მუქ ფერებში ხატავს სიტუაციას დევდარიანი, მაგრამ არანაირი საფუძველი არ გაგვაჩნია, რომ მისი სიტყვები საყურადღებოდ არ გავხადოთ.

„მუქი რომ ნათელი გახდეს, სწორედ ამიტომ მინდა გერმანიაში მიღებული ცოდნის შემდეგ კვლავ საქართველოში მუშაობა. იმედი მაქვს, მარტო არ ვიქნები და ქართულ ფეხბურთს სარგებლობას მოვუტან. მთავარია, სახელმწიფოს მიდგომა ფეხბურთისადმი შეიცვალოს — ბიზნესმენებმა ფეხბურთში ფული უნდა ჩადონ და საფეხბურთო მეურნეობა სწორი გზით განვითარდეს“ — შეუპოვარმა და ენთუზიასტმა დევდარიანმა რამდენიმე ჯებირი უკვე დაანგრია და იმედია, იქნებ გერმანიიდან დაბრუნებულმა მართლაც უფრო ღონივრად მოჰკიდებს საქმეს ხელს.

**დავით თავართქილაძე**

თბილისის „დინამო" კვიპროსული შეკრებიდან დაბრუნდა. ახლა გუნდი ისვენებს, ზეგ კი მარბელას საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ მიემგზავრება. ვერ ვიტყვით, „დინამო" ესპანეთში მოუმზადებელი ან სათამაშო პრაქტიკანაკლული მიდისო, თბილისელებმა ხომ უკვე ექვსი საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს და მზადების მეორე, კვიპროსული ეტაპიც მოილიეს.

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის „დინამო" 5 იანვარს თბილისში შეიკრიბა, ორი კვირა გუნდმა მშობლიურ ბაზაზე ივარჯიშა, 20-დან კი კვიპროსს მიაშურა. მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ კუნძულზე ახალწვეულებიანად 27 ფეხბურთელი იახლა. მზადების დაწყებიდან მოყოლებული, „დინამომ" ერთი მატჩი მოიგო, ორი ფრედ ითამაშა, სამი კი წააგო



# დინამო ჯერაც ლაპარაკობს
## წავაგეთ, რათა მოვიგოთ

— კარგად მესმის, ქომაგისთვის ნაკლებმნიშვნელოვანია, გუნდი მზადების რა ეტაპზე იმყოფება, რა პრობლემები აქვს და ყველა შემთხვევაში ჩვენგან მოგებას ითხოვს — გვითხრა გუშინ გია გეგუჩაძემ — თავადაც ასე ვფიქრობ და გუნდისგან ყველა მატჩის მოგებას ვითხოვ, მაგრამ არის ხოლმე ობიექტურ-სუბიექტური მიზეზები, რის გამოც გუნდს მოსამზადებელ ეტაპზე თამაში უჭირს. მიმაჩნია, რომ სჯობს, გუნდმა ახლა წააგოს, ოფიციალურ მატჩებს კი მაქსიმალურად კარგ ფორმაში შეხვდეს თუ რამ გამოსასწორებელია, დასახვეწია, ეს ყველაფერი სწორედ ამხანაგური მატჩებისას უნდა მოხდეს. იმასაც გეტყვით, რომ კვიპროსზე პირველივე მატჩი „ცრვენა ზვეზდასთან" ვითამაშეთ, არადა, წინასწარ დაგეგმილი გრაფიკით სერბებს და რუმინულ „არჯეშს" შეკრების ბოლოს უნდა შევხვედროდით. მაშინ გუნდი მეტნაკლებად უკეთ შეთამაშებული იქნებოდა და „ცრვენა ზვეზდასთანაც" ტოლ-სწორად ვითამაშებდით. თუმც ისე გამოვიდა, რომ სერბებს, ფაქტობრივად, მოუმზადებლები გავეჯიბრეთ.

**— მარბელას საერთაშორისო ტურნირიც მოსამზადებელი იქნება და „დინამოსგან" რას ველოდოთ? მით უმეტეს, ესპანეთში გაცილებით ძლიერ გუნდებთან მოგიწევთ თამაში.**

— ჯერ იმას გეტყვით, რომ მოსამზადებელ ეტაპზე შეგნებულად ვარჩევთ ძლიერ სპარინგებს. გუნდი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და სერიოზულ მეტოქეებთან ჩვენები უფრო მეტს ისწავლიან. მარბელას ტურნირზე კი ალბათ შესუსტებული შემადგენლობით ვითამაშებთ. საქმე ისაა, რომ 9 თებერვალს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს ლიტველებთან აქვთ ამხანაგური მატჩი და რამდენიმე დინამოელი ამ თამაშისთვისაა გამოძახებული. ვნახოთ, ჯერ ვერ გეტყვით, ესპანეთში რა შემადგენლობით გავემგზავრებით, თუმც, ვიმედოვნებ, ფეხბურთის ფედერაციასთან საერთო ენას გამოვნახავთ და ნაკრებისა და კლუბის ინტერესები გათვალისწინებული იქნება.

**— კვიპროსული შეკრებით, შედეგებს თუ არ ჩავთვლით, კმაყოფილი ხართ?**

— კმაყოფილი არასდროს ვარ, თუმც ვიტყვი, რომ კვიპროსზე საყოფიერი შეკრება გამოგვივიდა. პირველ ყოვლისა, სასიკეთოდ მენიშნა ფეხბურთელების პროფესიონალიზმი, საქმისადმი მიდგომა — როდესაც ბიჭები ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ შვებულებაში გავუშვით, გავაფრთხილეთ, რომ შეკრებისთანავე დიდი ფიზიკური დატვირთვები იქნებოდა და ამისთვის მზად ყოფილიყვნენ. შევიკრიბეთ და გამოჩნდა, რომ დატვირთვა ყველა ფეხბურთელმა აიტანა. ეს კი მათ პროფესიონალიზმზე მიუთითებს — შვებულების დროს ისინი ვარჯიშობდნენ.

**— ახალწვეულებზე რას იტყვით?**

— მხოლოდ კარგს. კვიპროსზე ისინი უფრო ახლოს გავიცანი და პიროვნულად ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მათი მომზადების დონითაც კმაყოფილი ვარ.

**— ჩავთვალოთ, რომ ყველა ახალწვეულს ესპანეთში წაიყვანთ?**

— შემადგენლობა დაზუსტებული არ არის. ესპანეთში 24-25 ფეხბურთელით წავალთ. ერთი, რაც ახლა შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ მარბელაში ჩვენთან ერთად იქნება შოთა ბაბუნაშვილი, მან კონტრაქტი უკვე გააფორმა.

**— გამორიცხულია, რომ ესპანეთში გამგზავრებამდე „დინამომ" ფეხბურთელები კიდევ დაიმატოს?**

— არა, გამორიცხული კი არა, ალბათ, დავიმატებთ კიდეც.

**— ჯამარაულს თუ დაიმატებთ?**

— ვერ გეტყვით. თუმც მსურს, რომ გოჩამ „დინამოში" ითამაშოს.

**— კვიპროსული მატჩების შემადგენლობის გათვალისწინებით, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ნაცად ტაქტიკურ სქემაზე 4-3-3 უარი თქვით და ორი თავდამსხმელით თამაშობდით. ასეა?**

— არა, მატჩისას ნომინალური თავდამსხმელი შესაძლოა, მართლაც ორი ან ერთი ყოფილიყო, მაგრამ შემტევის ფუნქცია სამ ფეხბურთელს ჰქონდა დაკისრებული. მხოლოდ ერთხელ იყო, ორი ფორვარდით რომ ვითამაშეთ. საერთოდ კი, ფეხბურთელთა უნივერსალიზმი ძალიან საჭიროა. მოედანზე მყოფ ყველა ფეხბურთელს შეტევაც უნდა შეეძლოს და თავდაცვაც. სხვათა შორის, თუ დააკვირდით, კვიპროსზე ერთი და იმავე შემადგენლობით „დინამოს" არც ერთ მატჩში არ უთამაშია და ფეხბურთელებს სხვადასხვა პოზიციებზე ვათამაშებდით: მაგალითად, ნოზაძე, რომელიც „ვიტ ჯორჯიაში" მუდამ საყრდენად თამაშობდა, კვიპროსზე მარჯვენა ჰავბეკად გამოვცადეთ, ბაბუნაშვილი მარცხნიდან ვათამაშეთ. მოკლედ, ექსპერიმენტები იყო, მაგრამ ამით ტაქტიკური სქემა არ შეცვლილა.

**— ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „დინამოში" ძირითადი შემადგენლობის გარკვეული ბირთვი ჩამოყალიბდა. შეგიძლიათ თქვათ, რომ მეორე ეტაპზე ეს ბირთვი მნიშვნელოვნად შეიცვლება?**

— ცვლილებები, რა თქმა უნდა იქნება, თუმც რამდენად მნიშვნელოვანი, ამას ჯერ ვერ გეტყვით. წინ ესპანური შეკრება და ტურნირია.

**— კვიპროსზე რა ჩაინიშნეთ, ყველაზე მეტად „დინამოს" რა უჭირს? ყველაზე მეტი სამუშაო რა მიმართულებით გაქვთ?**

— ცუდი ისაა, რომ კვიპროსზე ბევრი გოლი გავუშვით და ცოტა გავიტანეთ. შესაბამისად კი, დაცვაში და თავდასხმაში ამ ეტაპზე მეტი პრობლემა გვაქვს.

**— შუა ხაზში?**

— რა თქმა უნდა, პრობლემები აქაცაა, მაგრამ ისეთი არა, როგორიც თავდასხმაში და დაცვის ხაზში. შედარებით უკეთ საქმე ნახევარდაცვაში გვაქვს, ბურთის კონტროლი არ გვიჭირს, თუმც ამ რგოლის თამაშიც დასახვეწია.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ „დინამოს" თავდამსხმელი აკლია. ფაქტობრივად, ლევან მელქაძისა და მიხეილ კაკალაძის იმედად ხართ.**

— რატომ, დვალი და დვალიშვილი?

**— კი მაგრამ, ეს ფეხბურთელები ჯერ გამოუცდელ-დასალვინებელნი არიან.**

— ამიტომაც ვთქვი, რომ „დინამოს" ტრანსფერები ჯერ არ დაუმთავრებია.

**— ესე იგი, თავდამსხმელებს დაიმატებს?**

— სურვილი გვაქვს და ვეცდებით, გავძლიერდეთ.

**— სავარაუდო ახალწვეულების ვინაობას ვერ გვეტყვით?**

— ჯერ მოლაპარაკების პროცესში ვართ.

**— გასაგებია, მაგრამ ზეგ უკვე ესპანეთში მიემგზავრებით.**

— ახალი ფეხბურთელების დამატებას ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგაც არ გამოვრიცხავ.

**— „დინამოდან" ვინმე რომ წავიდეს, ამას გამორიცხავთ?**

— შესაძლოა, ასეც მოხდეს.

**— და ბოლოს, „დინამოს" ესპანური გრაფიკი როგორი იქნება?**

— თამაშები ყოველ მეორე დღეს, 5, 7 და 9 თებერვალს გვექნება. რა თქმა უნდა, მარბელაში ფიზიკური დატვირთვები შემცირდება და მხოლოდ ტექნიკა-ტაქტიკაზე ვიმუშავებთ. ის შემადგენლობა, რომელიც არ ითამაშებს, იმ დღესვე ივარჯიშებს. სხვათა შორის, როგორც გავიგე, ამ ტურნირის მატჩების პირდაპირ ტელერეპორტაჟებს „ენტევე-ფუტბოლი" გადმოსცემს და ჩვენი თამაშების ნახვის საშუალება გექნებათ. მარბელადან 10 თებერვალს დავბრუნდებით, 14-ში კი ზესტაფონში საქართველოს თასის საპასუხო მატჩი გვაქვს.

**კობა ინასარიძე**

# ალანია ქართულად ამღერდება?
## თედეევს კანკავა და შაშიაშვილი მოუნდა



ჯაბა კანკავა

**როგორც ჩანს,** ვლადიკავკაზის „ალანიას" თავკაცი ბაზა თუდეევი გუნდის ქართულად ათამაშებას ცდილობს. გუშინწინ იყო, ოსურმა კლუბმა ლადო ბურდულს სამწლიანი კონტრაქტი რომ გაუფორმა და ვიტალი დარასელიასა და ლევან გაზაგას შემდეგ მესამე [illegible] დაიბევა. თედეევმა ბურდულთან შეთანხმების მერე თქვა, შესაძლოა, სხვა ქართველი ფეხბურთელებიც დავიმატოთო. „ალანიას" თავკაცს გვარები არ დაუკონკრეტებია, თუმც შევიტყვეთ, რომ მისი ფავორიტები მცველი გიორგი შაშიაშვილი და ნახევარმცველი ჯაბა კანკავა არიან. გარდა ამისა, თედეევს კიდევ ერთი თბილისის დინამოელი, დავით კვირკველიაც ძალიან მოსწონს, მაგრამ ამ ტრანსფერის განხორციელება არარეალური ჩანს — საქმე დიდ თანხას ეხება, „ალანია" კი [illegible] [illegible] გრანდია.

კანკავასა და შაშიაშვილის ვლადიკავკაზში გადასვლა კი, შესაძლოა, ერთმა გარემოებამაც დააჩქაროს. მოგეხსენებათ, ზეგ „დინამო" ესპანურ ქალაქ მარბელაში გაემგზავრება შეკრებაზე, სადაც ზუსტად ამ დღეებში „ალანიაც" მიაშურებს.

ასე რომ, დიდი შანსია, ოსურმა კლუბმა საპრემიერლიგო სეზონი ხუთი ქართველით დაიწყოს...

# თქვენი ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან
**«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია**



*ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა და ფეხბურთელებიც ბურთს ქომაგისთვის აგორებენ. „სარბიელის" მეშვეობით კი ამიერიდან გულშემატკივარს საშუალება ექნება კითხვები დაუსვას სახელიან ქართველ ლეგიონერებს. გელზენკირხენის „შალკეს" შუახაზელი ლევან კობიაშვილი პირველია, ვინც „სარბიელის" საშუალებით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს. მოკლედ, გამოგზავნეთ თქვენი შეკითხვები ელექტრონულ ფოსტაზე ან დარეკეთ ტელეფონზე 5 თებერვლის ჩათვლით 10-დან 18-საათამდე (შაბათის გარდა), მიუთითეთ თქვენი გვარ-სახელი, ასაკი და ქალაქი. ინტერვიუ თქვენი კითხვებითა და ლევან კობიაშვილის პასუხებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 10 თებერვლისა.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# კუნძულია მაგარი...

## ძველი ქართული ზღაპარი: ქეცბაია და დანარჩენები

*ამ უქმეების მთავარი ამბები კვიპროსის ჩემპიონატში მოხდა. მართალია, კუნძულელებს ევროპულ ბობოლა ჩემპიონატებამდე წარმოუდგენლად ბევრი უკლიათ, მაგრამ ჩვენებურთა გარჯა მაინც საყურადღებო ჩანს — მარტივად ვიტყვით, 6 გოლი და 2 საგოლე პასი ნასაყრუებელი ამბავი ნამდვილად არაა...*

***ტურის გმირი თემურ ქეცბაია გახდა.*** „ანართოსისის" მოთამაშე-მწვრთნელი ჩინებულ ფორმაშია და 15 მატჩში გატანილი 7 გოლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირიცაა. ქეცბაიამ „დიგენისთან" მატჩში დუბლი შეასრულა და ტურის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. „ანართოსისმა" საბოლოო ჯამში 3:1 მოიგო, ***გიორგი ქინქლაძემ*** და ***კლიმენტი წიტაიშვილმა*** კი თითო საგოლე პასით გამოიჩინეს თავი.

ამ მოგებით ფამაგუსტელებმა ლიდერობა დაიბრუნეს, რადგანაც მათმა მთავარმა კონკურენტმა აპოელ-მა ***ლევან ქებაძის*** „პარალიმნისთან" წაიფორხილა (3:3). უხვგოლიან შეხვედრაში ჩვენებურმაც გაიტანა — ქებაძემ პირველ ტაიმში აღადგინა წონასწორობა, 87-ე წუთზე კი შეცვალეს.

***სულაც გენეზისი მოიწყო გიორგი ქორიძემ.*** „ოლიმპიაკოსმა" უღაძაბულეს ჯახში 3:2 მოუგო „ალკის" და სამივე გოლი ქართველმა თავდამსხმელმა გაიტანა, თანაც პირველ 45 წუთში. „ოლიმპიაკოსი" ახლა მესამე ადგილზეა და უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის.

***გერმანიაში „ფრაიბურგმა" გაიღვიძა.*** ქართველების გუნდმა „მგლები" ააყმუვლა — „ვოლფსბურგს" 1:0 მოუგო და ცხრილის ფსკერიდან ერთი საფეხურით აინაცვლა. ***ალექსანდრე იაშვილმა, ლევან ცქიტიშვილმა*** და ***ოთარ ხიზანეიშვილმა*** სრულად ითამაშეს და არცთუ ურიგოდ.

***მოულოდნელად დამარცხდა „შალკე",*** თუმც გელზენკირხენელებს კონკურენტი მიუნხენის „ბაიერნიც" არ ჩამორჩა და ამდენად ლიდერებს შორის სხვაობა ოდენ ერთი ქულაა. „შალკეს" კი „კაიზერსლაუტერნმა" დაუდო სარმა — 2:0 მოუგო. ***ლევან კობიაშვილი*** ძირითადში იყო, თუმც მატჩის მიწურულს შეცვალეს.

***შოტლანდიაში მორიგი უქართველო ტური ჩატარდა. შოთა არველაძის*** არყოფნა გასაგებია — იგი ტრავმირებულია, მაგრამ ***ზურაბ ხიზანიშვილის*** უქმობას ასეთივე ლოგიკური მიზეზი სულაც ვერ მოეძებნება. „ხიზანა" კლუბის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლობის გამო ისჯება და ზედიზედ მესამე მატჩია, მოედანზე არ გასულა. შეგახსენებთ, რომ ზურას ახალი კონტრაქტის პირობები არ აკმაყოფილებს და მოლაპარაკებაც საშინლად გაიწელა.

***საბერძნეთის ჩემპიონატში ლევან მაღრაძის „ქსანთი" გამოირჩა,*** მრისხანე „პანათინაიკოსი" 3:1 მიანგრია. საქართველოს ნაკრებში სალიტვოდ გამოძახებულმა მაღრაძემ სრულად ითამაშა და მწვრთნელისთვის საყვედურის საბაბი არ მიუცია. „ქსანთი" კი მეოთხე ადგილზეა და ჯერაც ჩინებული შანსი აქვს, რომელიმე სინჯის მედალს შეწვდეს.

**ძაბა შალამბერიძე**



ოთარ ხიზანეიშვილის (მარჯვნივ) „ფრაიბურგმა" მოგება გაიხსენა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ბოლონია 0:1 | 0 | სათადარიგო | 9 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ლაუტერნი 0:2 | 87 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 19 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვოლფსბურგი 1:0 | 90 | | 18 | 2 | 17 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ვოლფსბურგი 1:0 | 90 | საგოლე პასი | 13 | 1 | 17 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ვოლფსბურგი 1:0 | 90 | | 2 | 0 | 17 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | მიუნხენი 0:1 | 0 | | 13 | 2 | 9 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | ესენი 2:2 | 0 | | 9 | 1 | 10 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | ლივინგსტონი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 4 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | ლივინგსტონი 3:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 14 | 0 | 2 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ფეიენოორდი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 12 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | პანათინაიკოსი 3:1 | 90 | | 15 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | დიგენისი 3:1 | 90 | 2 გოლი | 15 | 7 | 1 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | დიგენისი 3:1 | 88 | საგოლე პასი, შეცვალეს | 13 | 2 | 1 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | ს | დიგენისი 3:1 | 90 | საგოლე პასი | 16 | 4 | 1 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | დიგენისი 3:1 | 2 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | ს | დიგენისი 3:1 | 0 | | 10 | 2 | 1 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | აპოელ 3:3 | 87 | 1 გოლი, შეცვალეს | 16 | 5 | 8 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | ს | ალკი 3:2 | 90 | 3 გოლი | 11 | 4 | 3 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი**

## ჩვენი მეტოქეები



ანდრეი შევჩენკომ ოლეგ ბლოხინს ახალი თავსატეხი გაუჩინა

# ბოლონიამ ალბანეთს საჩუქარი გაუკეთა

### უკრაინა

**4 თებერვალს** ჩვენი შესარჩევი ჯგუფის ლიდერი უკრაინა შკოდერში ალბანეთს სტუმრობს. მადა ჭამაში მოდისო — ოლეგ ბლოხინის გუნდი შეეცდება, ისედაც ბლომად მოგროვილ საშემოდგომო ქულებს კიდევ სამი მიუმატოს და ფავორიტადაც ითვლება. უფრო სწორად, ითვლებოდა... ახლა კი საქმე სხვაგვარადაა: „მილანის" სუპერფორვარდი ანდრეი შევჩენკო გუშინწინ „ბოლონიასთან" სერია A-ს მატჩში დაშავდა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, 9 თებერვლამდე ვერ მომჯობინდება. ჰოდა, „შევას" გარეშე უკრაინელებს რომ ალბანურ „ჯოჯოხეთურ" საფეხბურთო სტადიონზე მაგრად გაუჭირდება, ცხადზე ცხადია.

შევჩენკო გუშინ ექიმებმა გასინჯეს და ზუსტი დიაგნოზიც დაუსვეს — ანდრეი ორი კვირით ჩამოშორდა ფეხბურთს. საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე კი ამბობს: „შევჩენკომ თავად მითხრა თამაშის შემდეგ, საშინელი ტკივილი მაქვს და ვეჭვობ, მალე მოვმჯობინდეო. ანდრეის ყველაზე მეტად ის ადარდებს, რომ ალბანეთთან თავის ქვეყანას ვერ დაეხმარება".

ბარემ აქვე გაცნობებთ, რომ „შევას" დაშავებამდე ოლეგ ბლოხინმა „მილანი" გააფრთხილა, 5 თებერვლისთვის შევჩენკოს უკრაინაში თუ არ გამოუშვებთ, ფიფაში გიჩივლებთო. საქმე ისაა, რომ 6 თებერვალს „როსონერის" „ლაციოსთან" აქვს სათამაშო და ბუნებრივია, არ სურდა, „ოქროს ბურთის" მფლობელი ფორვარდი დაჰკლებოდა. ფიფას წესდებით კი კლუბმა ნაკრების მატჩამდე არანაკლებ 4 დღით ადრე უნდა გაათავისუფლოს ფეხბურთელი. თუმც ოლეგ ბლოხინს ფიფაში ჩივილი ალბათ აღარ დასჭირდება — შევჩენკო საალბანეთოდ ისედაც ვერ გამოადგება...

**ილია ნანოგაშვილი**

# ზიკომ ყაზახები ოთხით გამოუშვა




სერგეი ტიმოფეევმა კრიტიკოსებს საქმე მოუმრავლა

### ყაზახეთი

**ჩვენი** შესარჩევი ჯგუფის მაჩანჩალამ, ყაზახეთის ნაკრებმა შაბათს იოკოჰამაში დიდანგარიშიანი მარცხი იწვნია. სერგეი ტიმოფეევის ბიჭები ტესტ-მატჩში იაპონიას ეთამაშნენ და შინ 0:4 წაიღეს. იაპონელთა თავკაც ზიკოს მთლად ოპტიმალური შემადგენლობა არ დაუხვედრებია ყაზახებისთვის, ან რა რჯიდა — მეტოქეს პირველივე წუთებიდან ისედაც ბდღვირი ადინა. იაპონელთაგან ორი გოლი ტამადამ, თითო-თითო კი მაცუდამ და ალექსმა გაიტანეს.

ტიმოფეევმა იოკოჰამაში 5 ახალწვეული ათამაშა, რომელთა ასაკი 20 წელს არ აღემატება. ყაზახთა მწვრთნელს ნამეტანი ახალგაზრდული გუნდით თამაშისთვის კი აკრიტიკებენ, თუმც ეს კაცი საყვედურებს ერთი ყურიდან მეორეში უშვებს — უწვერული ბიჭები საგაისო ციკლისთვის დალვინდებიან და მერე ჯგუფის აუტსაიდერები ნაღდად აღარ ვიქნებითო.

**ილია ნანოგაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

# ტოტენჰემის ოქროს დეკემბერი



რაფაელ ბენიტესს ლამის მთელი „ლივერპული“ დაუშავდა

**XXV ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | მანჩესტერი |
| ბოლტონი | : | ტოტენჰემი |
| ჩარლტონი | : | ლივერპული |
| პორტსმუთი | : | მიდლსბრო |
| ვესტ ბრომვიჩი | : | კრ. პალასი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | : | საუთჰემპტონი |
| ბლექბერნი | : | ჩელსი |
| ევერტონი | : | ნორვიჩი |
| ფულემი | : | ასტონ ვილა |
| სიტი | : | ნიუკასლი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 24 | 19 | 4 | 1 | 48:8 | 61 |
| არსენალი | 24 | 15 | 6 | 3 | 53:25 | 51 |
| მანჩესტერი | 24 | 14 | 8 | 2 | 37:14 | 50 |
| ევერტონი | 24 | 13 | 5 | 6 | 28:25 | 44 |
| ლივერპული | 24 | 11 | 4 | 9 | 36:25 | 37 |
| მიდლსბრო | 24 | 10 | 7 | 7 | 39:33 | 37 |
| ჩარლტონი | 24 | 11 | 4 | 9 | 28:33 | 37 |
| ტოტენჰემი | 24 | 9 | 6 | 9 | 29:26 | 33 |
| ბოლტონი | 24 | 9 | 6 | 9 | 31:31 | 33 |
| სიტი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:26 | 31 |
| ასტონ ვილა | 24 | 8 | 7 | 9 | 27:29 | 31 |
| ნიუკასლი | 24 | 7 | 8 | 9 | 35:41 | 29 |
| ფულემი | 24 | 8 | 4 | 12 | 31:40 | 28 |
| პორტსმუთი | 24 | 7 | 6 | 11 | 26:34 | 27 |
| ბირმინგემი | 24 | 6 | 8 | 10 | 27:30 | 26 |
| ბლექბერნი | 24 | 5 | 10 | 9 | 21:34 | 25 |
| კრ. პალასი | 24 | 5 | 6 | 13 | 27:37 | 21 |
| საუთჰემპტონი | 24 | 3 | 9 | 12 | 25:39 | 18 |
| ნორვიჩი | 24 | 2 | 11 | 11 | 23:46 | 17 |
| ვესტ ბრომვიჩი | 24 | 2 | 10 | 12 | 19:44 | 16 |

**უქმეებზე** ასოციაციის თასის მეთექვსმეტედფინალი მოილიეს და დღეს პრემიერლიგის მორიგი ტური იწყება.

„ბოლტონის“ მწვრთნელმა სემ ალარდაისმა „ოლდემთან“ სათასო მატჩში ძირითადი შემადგენლობის უმეტესობა დაასვენა, რადგან ცხრილის მეზობელ „ტოტენჰემს“ მასპინძლობს. დამხვდურთა მცველი ნიკი ჰანტი ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს.

ტოტენჰემელთა „ოქროს დეკემბერი“ კი როგორც ჩანს, დასრულდა. მარტინ იოლის გუნდი გასული წლის ბოლო თვეში მატჩებს ზედიზედ იგებდა, ახლა კი ჩემპიონატში მიჯრით ორი თამაში წააგო, ხოლო თასზე „ვესტ ბრომვიჩს“ სტუმრად დაუზავდა.

„ჩარლტონმა“ ასოციაციის თასიდან ქვედალიგელი „იოვილი“ დაიფრინა და დღეს „ლივერპულთან“ ჭიდილი მოუწევს. სტუმრებს სემი ჰიიპია, ჰარი კიუელი და ვლადიმირ შმიცერი ტრავმირებული ჰყავთ და საეჭვოა, რომ ითამაშონ. ფორვარდი სინამაპონიოლი კი ისე დაშავდა, რომ კარგა ხანს მკურნალობა ელის. რაფაელ ბენიტესიც ალბათ ფიქრობს, თუ ძირითადში ვინ დააყენოს.

პორტსმუთში იქაურები „მიდლსბროს“ დაუხვდებიან. ორივე გუნდმა გასულ უქმეებზე სათასო მატჩები წააგო — „პორტსმუთმა“ „საუთჰემპტონთან“, „მიდლსბრომ“ კი — „მანჩესტერ იუნაიტედთან“.

ქვედა ოთხეულში მოყუჩებულ „ვესტ ბრომვიჩს“ და „კრისტალ პალასს“ პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ქულები ჰაერივით სჭირდებათ, ისევე, როგორც „საუთჰემპტონს“, რომელიც ბირმინგემს ესტუმრება. სტივ ბრიუსის „ბირმინგემმა“ მიჯრით სამი თამაში წააგო და ცხრილის შუაგულიდან დაბლა დაეშვა, მაგრამ შესაძლოა, კრეიგი ბელამით გაძლიერდეს. უელსელი ფეხბურთელის ტრანსფერი წესით გუშინ უნდა მოგვარებულიყო.

ჰარი რედნაპის „წმინდანებმა“ ჩემპიონატში „ლივერპული“ დააჩოქეს, შემდეგ კი ზღვისპირელი მეზობელი „პორტსმუთი“ გაითხოვეს თასიდან. ამ ორმა მოგებამ „საუთჰემპტონს“ უძლიერესთა შორის დარჩენის იმედი გაუღვივა, თუმც „ბირმინგემთან“ სტუმრებს მეგოლე კევინ ფილიპსი დააკლდებათ.

მარკ ჰიუზის „ბლექბერნს“ ჟოზე მაურინიუს „ჩელსისთან“ ბრძოლა ელის. პრემიერლიგის ლიდერებს მიჯრით მერვე გამარჯვება სწყურიათ, „ბლექბერნი“ კი მეთექვსმეტე ადგილზეა და ზევით აცოცებას ლამობს, რომ გასავარდნებში არ ჩაეწეროს.

დევიდ მოიესის „ევერტონს“ ტრავმირებული არავინ ჰყავს, მის მეტოქე „ნორვიჩს“ კი ამ მხრივ პრობლემები მოსძალებია.

„ფულემი“, რომელსაც დაშავებული სტივ მალბრანკი ვერ დაეხმარება, „ასტონ ვილას“ დაუხვდება. ბირმინგემელ სტუმრებს მხოლოდ მეგოლე დარიუს ვასელი აკლიათ.

ლონდონი. „ჰაიბერი“. დღეს. 23.00 საათი

## არსენალი VS მანჩესტერი







პირველ წრეში არსენ ვენგერის „არსენალი“ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერმა“ უეინ რუნის გოლით დაასამარა

# ჰაიბერი გაიბერება
# ჩელსი ჩასაფრებულია

**დღეს** „ჰაიბერიზე“ ძვლების ჭახაჭუხი იქნება — „არსენალი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობს. ამ გუნდების საპირველწრეო ჯახი სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდებმა მოიგეს და „არსენალის“ 49-მატჩიანი წაუგებელი სერია დაასამარეს. იმ მარცხის შემდეგ „მეთოფეებს“ ლულები ისე დაუჩლუნგდათ, რომ ათი შეხვედრიდან მხოლოდ სამი მოიგეს და სანამ სამიზნეს ისწორებდნენ, „ჩელსიმ“ თანაქალაქელ მდევარს გვარიანი სხვაობით გაუსწრო.

პრემიერლიგის დაარსებიდან „არსენალ“ — „მანჩესტერის“ მატჩები ზოგადად საჩემპიონო თამაშად აღიქმებოდა, მაგრამ ამჯერად სულ სხვა ვითარებაა. ჟოზე მაურინიუს გუნდი „არსენალს“ ათი, ხოლო „მანჩესტერს“ თერთმეტი ქულით უსწრებს. ამიტომაც ამბობს გარი ნევილი, რომ „ჰაიბერიზე“ გამარჯვებული ჩემპიონობის შანსს შეინარჩუნებსო: „ხალხი ჩვენს თამაშზე საუბრობს, მაგრამ ცხრილის თავში მოქცეული ჩელსელები არ უნდა დაგვავიწყდეს. დღევანდელი მატჩი მაურინიუსთვისაც მნიშვნელოვანია“.

„მატჩი ფრედ თუ დასრულდა, „ჩელსი“ ამით ძალიან იხეირებს, რადგან ორივე ორ-ორ ქულას დავკარგავთ — თქვა ალექს ფერგიუსონმა — მაგრამ მე ჩემი ფეხბურთელების გამოცდილებისა და ბრძოლისუნარიანობისა მეიმედება. რა თქმა უნდა, „ჰაიბერიზე“ მძიმე თამაში გველის, თუმც ასეთებს მიჩვეულები არიან პოლ სქოულზი, როი კინი და რაიან გიგზი“.

სოლ კემპბელი: „ყველა ამ მატჩს ელის, ჩვენ კი გამარჯვება გვჭირდება. ფრეს „არსენალისთვის“ აზრი არ ექნება და ეს ყველას კარგად გვესმის. თუ მოვიგეთ, პირველ წრეში 0:2 წაგებისთვის ჯავრს ვიყრით“.

ზემოთვე ვთქვით, რომ ოქტომბერში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „მეთოფეთა“ 49-მატჩიანი წაუგებელი სერია დაასრულა, კემპბელი იხსენებს: „ის მარცხი განსაკუთრებულად მეწყინა, რადგან მანჩესტერელებმა მას შემდეგ მოუმატეს, ქულები მოხვეტეს და დაგვეწივნენ, ხოლო ჩვენ ფსიქოლოგიურად გავტყდით და კალაპოტში ჩადგომა გაგვიჭირდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაურინიუმ ყველაფერი დახლართა
## ვის წაიყვანს პორტუგალიელი ჩელსიში?



ჟოზე მაურინიუს უკბილო ხუმრობაც სცოდნია

**„არსენალი"** დარწმუნებულია, რომ „ჩელსი" შემოვლითი გზებით ცდილობდა მისი მცველის, ეშლი კოულის გადაბირებას. ეს კი, ცხადია, აკრძალულია.

გაზეთმა „ნიუს ოფ ზე ვორლდმა" გამოაქვეყნა ცნობა, რომ კოული ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში შეხვდა „ჩელსის" პორტუგალიელ მენეჯერ ჟოზე მაურინიუს და პასუხისმგებელ შეფს, პიტერ კინიონს. მაურინიუმ ეს ამბები გუშინდელ გაზეთებშივე უარყო და თქვა, რომ მილანში იყო, სადაც „ინტერიდან" ბრაზილიელი ადრიანოს გადმოყვანაზე მუშაობდა.

„მეთოფეთა" თავმჯდომარემ, პიტერ ჰილ-ვუდმა კი განაცხადა: „მან ისე ილაპარაკა, რომ აშკარად რაღაც იყო. პრემიერლიგის წესები მკაფიოა: ასეთი რამ დანაშაულია".

„ნიუს ოფ ზე ვორლდმა" დრო და ადგილიც მიუთითა: 27 იანვარი, ლონდონი, ლანკასტერ გეითი, სასტუმრო „როიალ პარკ ჰოტელი". ნახსენებ სამთან ერთად შეხვედრას დასწრებია განთქმული ებრაელი აგენტი პინი ზაჰავი, სწორედ ის, ვინც რომან აბრამოვიჩს „ჩელსი" აყიდინა.

თავად კოულს, რომელიც 24 წლისაა, 2007 წლამდე აქვს კონტრაქტი „არსენალთან". ჰილ-ვუდი განაგრძობს: „ეს ხმები სერიოზული გამოძიებისკენ გვიბიძგებს, უნდა ვიჩქაროთ. ეშლისთანაც უნდა გაირკვეს საქმე. ასეთი საიდუმლო შეხვედრები უცხო ხილი არ არის. ადრეც გვქონდა ამგვარი შემთხვევა".

ორაზროვანია მაურინიუს განცხადებაც მილანში ყოფნის შესახებ: „ადრიანოს შევხვდი. უბრალოდ, იმისთვის, რომ პორტუგალიური ენა არ დამვიწყებოდა, თორემ თავდამსხმელები არ მჭირდება".

როგორც იტყვიან, მაურინიუს იუმორი უადგილო გამოდგა. მითუმეტეს, რომ „ინტერის" პრესმდივანმა, პაოლო ვიგანომ განაცხადა: „არა მხოლოდ ის, რომ ადრიანო არ იყიდება, არამედ ისიც მინდა ვთქვა, რომ შეუძლებელია 27 იანვარს მაურინიუ ადრიანოს შეხვედროდა".

მაშ, რატომ იმყოფებოდა მაურინიუ მილანში? „ნიუს ოფ ზე ვორლდმა" გუშინვე დაწერა, რომ პორტუგალიელ მწვრთნელს თავის პატრონ რომან აბრამოვიჩისთვის თურმე კატეგორიულად მოუთხოვია, ერთადერთი ფეხბურთელი, რომლის ხილვასაც ჩემს გუნდში ვისურვებდი, ბრაზილიელი კაკაა, თუ ეგ ბიჭი გადმოვიყვანეთ, სულ ცოტა, სამი წლის მანძილზე სატრანსფერო ამბებზე აღარ შეგაწუხებო.

„ჩელსი" კი აცხადებს, რომ სატრანსფერო ფანჯარა დახურა და ზაფხულამდე არავის იყიდის. მაურინიუ ამბობს: „ამ სეზონში ახალი მოთამაშე არ მჭირდება. საგაისოდ, ალბათ, შევარჩევთ. ვინც გინდათ ჩამოთვალეთ: ადრიანო, ეშლი კოული, სტივენ ჯერარდი. თუ გნებავთ, კიდევ დავამატებთ. ეს „ჩელსია" და სახელები სულ იტრიალებს. ყველას უნდა ჩვენთან თამაში, მაგრამ მე მათთან საიდუმლო შეხვედრების დრო არ მაქვს".

„მეთოფეთა" ვიცე-თავმჯდომარემ, დევიდ დინმა კი გამოაცხადა, რომ ამ საქმის გამოძიება კლუბის პრიორიტეტია.

ეშლი კოულის აგენტმა, ჯონათან გარნეტმა კი ყოველივე უარყო: „ეშლი არავის შეხვედრია. ის ბედნიერია „არსენალში".

ამასობაში, მედიამ კვლავ წამოატივტივა „ლივერპულის" კაპიტნის, სტივენ ჯერარდის ზაფხულში, „ჩელსიში" გადასვლის ვარაუდი. ფასი 30 მილიონი გირვანქა იქნებაო, წერენ ტაბლოიდები. ამის მიზეზი ისა ყოფილა, რომ სტივის და მის გელფრენდს, ალექს ქარანს სარის საგრაფოში ძვირიანი მამულების თვალიერება წამოუწყიათ. მაშ, სტივი, დიდ ფულს გეგმავსო, თვლიან გაზეთები.

**ირაკლი ბამყრელიძე**



# ელბერი მუქთად
## ჰოხშტატერს საუკეთესო უფასოდ ერგო

**ჯოვანი ელბერი** საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონს" ოფიციალურად გაეყარა და გუშინ, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს ბუნდესლიგაში დაბრუნდა. ბრაზილიელი ფორვარდი ამიერიდან მიონხენგლადბახის „ბორუსიასთვის" გაიტანს გოლებს.

მოგეხსენებათ, 32 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი „ლიონში" 2003 წელს მიუნხენის „ბაიერნიდან" გადავიდა და პირველივე სეზონში 11 გოლი მიითვალა.

შარშან კი უიღბლოდ დაიწყო. აგვისტოში, „მეცთან" მატჩში დაშავდა და საოპერაციო გახდა. ოპერაცია ლიონის ერთ-ერთ კლინიკაში გაუკეთეს, მაგრამ იქაური ექიმის ნახელავი ჯოვანიმ დაიწუნა. მოგვიანებით ელბერი ბრაზილიაში ჩავიდა და ქირურგს ხელმეორედ დაუწვა. ეს ამბავი „ლიონის" თავმჯდომარე ჟან-მიშელ ოლამ გაიგო, ფეხბურთელი მას მერე აითვალწუნა და საბოლოოდ დაითხოვა კიდეც გუნდიდან.

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ჯოვანი ელბერი მუქთად ერგო, რადგან ფრანგულმა კლუბმა ბრაზილიელთან კონტრაქტი 28 იანვარს გაწყვიტა და იგი თავისუფალი აგენტი გახდა.

„ელბერი ბუნდესლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი უცხოელი ფორვარდი იყო და როცა ასეთი მოთამაშის უფასოდ ხელში ჩაგდების შანსი გეძლევა, უნდა გამოიყენო" — სიხარულით განაცხადა „ბორუსიას" სპორტულმა დირექტორმა კრისტიან ჰოხშტატერმა, როცა ეს ტრანსფერი მოაკვარახჭინა.

**გაგა ხუციშვილი**

# შევჩენკოს დღეს დააზუსტებენ
## უკრაინელმა ანჩელოტის თავი აატკივა



ანდრეი შევჩენკო „მილანს" ორი კვირით ჩამოშორდა

**გუშინწინდელი** „მილანი" — „ბოლონიას" მატჩის 41-ე წუთზე „როსონერის" უკრაინელი სუპერვარსკვლავი ანდრეი შევჩენკო დაშავდა და მაშინვე შეცვალეს. კლუბის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ფორვარდს მეტოქის ქაცვმა ფეხის კუნთი დაუზიანა. ბოლონიელი ალესანდრო გამბერინის ფეხი უკრაინელს მაშინ მოხვდა, როცა იგი ბურთის კარში დასარტყმელად ემზადებოდა.

„ანდრეის კუნთი გასიებული არა აქვს, მაგრამ ძლიერი ტკივილები აწუხებს" — განაცხადა „მილანის" ექიმთუფროსმა ჟან-პიერ მირსიმანმა.

საბოლოო დიაგნოზი დღეს დაზუსტდება. გუშინ კი მხოლოდ ის გაირკვა, რომ შევჩენკოს მკურნალობა სულ მცირე ორი კვირა გასტანს და ამ ხნის მანძილზე იგი სერია A-ში, „მესინასთან" და „ლაციოსთან" მატჩებს გამოტოვებს.

ერთი სიტყვით, ევროპის 2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელი „მილანის" ლაზარეთში მყოფ დარიო შიმიჩს და ფილიპო ინძაგის შეუერთდა.

ერთიც, შევჩენკოს მოულოდნელმა დაშავებამ „მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი, რა თქმა უნდა, შეაშფოთა. მას ახლა გუნდში მხოლოდ ორი ჯანმრთელი თავდამსხმელი შერჩა — ერნან კრესპო და იონ დალ ტომასონი.

**გაგა ხუციშვილი**



# სოლარის სამწლიანი შესთავაზეს

**ვანდერლეი ლუშემბურგოს** „რეალში" გამწვრთნელების მერე, არგენტინელი სანტიაგო სოლარი ძირითად შემადგენლობას გაუშინაურდა და ამ ამბავს შესაფერისი გაგრძელებაც მოჰყვა. სამეფო გუნდის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა და სპორტულმა დირექტორმა არიგო საკიმ სოლარის ახალი, სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. შევნიშნოთ, რომ არგენტინელს „რეალთან" თანამშრომლობა მიმდინარე ხელშეკრულებით 2006 წლის 30 ივნისამდე უწევდა.

ეს ამბავი ყურადსაღები უფრო იმიტომაა, რომ სათადარიგოობას შეგუებულ არგენტინელზე თვალი ევროპის ბობოლა კლუბებს ეჭირათ. ერთი ხანობა, სოლარის „ინტერი" და „მილანი" იწვევდნენ, ბოლო დროს კი მისით „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რეალის" მოსისხლე „ბარსელონა" დაინტერესდნენ. ახლა საქმის ვითარება, სავარაუდოდ, საპირისპიროდ შეიცვლება. სოლარი, რომელიც მადრიდელებს ერთგულებას ეფიცებოდა, ალბათ ახალ კონტრაქტზე ხელს მოაწერს და სანამ ლუშემბურგო სამეფოში მთავარი კაცი იქნება, სასტარტო თერთმეტეულშიც ხშირად ვიხილავთ.

**სოსო ძოტორეიშვილი**

*მისი კერპი ხავიერ სავიოლაა, ალმერთებს დიეგო მარადონას და სჯერა, რომ „ბარსელონასთან“ ერთად საფეხბურთო ევროპას დაიპყრობს.*

*კატალონიელთა არგენტინელი ახალწვეული მაქსი ლოპესი კონტრაქტის გაფორმებისთანავე კლუბის ვებ-გვერდის კორესპონდენტს გულახდილად ესაუბრა*

# მაღალი, ძერა, ცისფერთვალება

## გერმანული ტანკი კამპ ნოუს ააფეთქებს



მაქსი ლოპესი ფრანკ რაიკარდის დავალებებს კეთილსინდისიერად შეასრულებს

**— თქვენ ევროპის ბევრი სახელიანი გუნდი გიწვევდათ. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც „ბარსა“?**

— უპირველესად იმიტომ, რომ „ბარსელონა“ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა, თან შემტევ, სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. ასეთი სტილი კი ძალიან მომწონს. ერთიცაა, ბარსელონა ბუენოს აირესს მაგონებს — ულამაზესი ქალაქია.

**— ხშირად გადარებენ გაბრიელ ბატისტუტასა და ერნან კრესპოს. თქვენ როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?**

— ამ ორ დიდ არგენტინელთან ჩემს მსგავსებაზე ვერაფერს გეტყვით. ის კი შემიძლია გითხრათ, რომ ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი ვარ, ბურთსაც კარგად ვფლობ და სწორი პასიც მეხერხება.

**— თავდასხმაში სხვადასხვა პოზიციაზე თამაშიც შეგძლებიათ...**

— ასეა. ფლანგებიდანაც შემიძლია შეტევის გამწვავება და ცენტრფორვარდადაც გამოვდგები.

**— ესე იგი, სამუელ ეტოოს მეწყვილეობა არ უნდა გაგიჭირდეთ...**

— არა მგონია. ფრანკ რაიკარდი რასაც დამავალებს, ის უნდა შევასრულო. მწვრთნელის სიტყვა ჩემთვის კანონია.

**— ბოლო ფეხბურთელი, ვინც „რივერ პლეიტიდან“ „ბარსელონაში“ გადმოვიდა, ხავიერ სავიოლა იყო. მოდით, მაქსი ლოპესი სავიოლას შევადაროთ...**

— მე „ბაჭიაზე“ გაცილებით მაღალი ვარ, თუმც მის დარად „ვმეგობრობ“ ბურთთან. აქვე გეტყვით, რომ სავიოლა ჩემი კერპია. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. „ბარსელონაში“ წამოსვლის წინ ხავიერს დავურეკე და რჩევა ვკითხე. მან არჩევანი მომიწონა და მითხრა — დიად კლუბში მიდიხარ, დიდი ფეხბურთელების მხარდამხარ ითამაშებ, განსაკუთრებით კი იქაური ქომაგებით დარჩები აღფრთოვანებული.

**— ალბათ ესპანური პრიმერადივიზიონის მატჩებს თვალყურს ადევნებდით. როგორ ფიქრობთ, შეძლებს „ბარსა“ ჩემპიონატის მოგებას?**

— პრიმერას ყურადღებით ვუყურებდით და, ჩემი აზრით, „ბარსელონას“ უპირატესობა აშკარაა. „რეალთან“ მატჩი კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

**— ჯერ 20 წლის ხართ, ახალგაზრდობა თქვენი უპირატესობაა, თუ ხელს შეგიშლით გუნდში ადგილის დამკვიდრებაში?**

— ვფიქრობ, რომ უპირატესობაა. მე ბედმა შანსი მომცა დიდ კლუბში დიდი ფეხბურთი ვითამაშო და ამ შანსის ხელიდან გაშვებას არ ვაპირებ.

**— ადრე თუ გითამაშიათ „კამპ ნოუზე“?**

— არასოდეს. კატალონიაში კი ნათესავები მყავს, ისინიც მირჩევდნენ ბარსელონაში გადმოსვლას და აქ დამკვიდრებაში ახლაც მეხმარებიან.

**— ალბათ, იცით, რომ თქვენი ლეგენდარული თვისტომი დიეგო მარადონა „ბარსელონაში“ თამაშობდა...**

— ცხადია, ვიცი. მარადონა არგენტინელებისთვის მხოლოდ უდიდესი ფეხბურთელი არაა, ის ჩვენთვის ღმერთის ტოლა კაცია.

**— რატომ გიწოდებენ „გერმანულ ტანკს“?**

— ასე მომნათლეს ერთ-ერთ არგენტინულ ტელეშოუში. ალბათ იმიტომ, რომ ცისფერთვალება, ქერათმიანი და ალნაგი ვარ. ეტყობა, გერმანელს მართლაც ჩამოვგავარ.

# რონალდინიო — 100 მილიონი

## ბარსელონამ კიჟა შეაფასა



**ახლახან** გვეწერა, იტალიური „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ბრაზილიელი რონალდინიოს შეძენაზე ოცნებობსო.

გუშინ კი, გალიანის და ევროპის სხვა, ბობოლა კლუბების საყურადღებოდ, კატალონიური „ბარსელონას“ შეფობამ გამოაცხადა, რომ რონალდინიოს მხოლოდ 100 მილიონ ევროდ შეელევა.

რასაკვირველია, რონალდინიოს გრანდთა ყურადღება სიამოვნებს, თუმც სპორტულ მედიას კვლავ „ბარსას“ ერთგულებას ეფიცება. „კამპ ნოუზე“ თავს მშვენივრად ვგრძნობ. მიხარია, რომ დიდი კლუბები ჩემი შეძენით დაინტერესდნენ, მაგრამ „ბარსელონადან“ წასვლას არ ვაპირებ“ — ამბობს კიჟა.

„რონი გუნდის სიმბოლოა და მის გაყიდვას არ ვაპირებთ. და, თუ ვინმე მაინც გადაწყვეტს მის შეძენას, უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ 100 მილიონი ევროს სანაცვლოდ შევეელევით“ — აღნიშნა ფერან სორიანომ, „ბარსელონას“ ფინანსური დირექტორმა.

**ლადო ხომერიკი**




**ინგლისურმა** „ასტონ ვილამ“ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ კამერუნელი ერიკ ჯემბა-ჯემბა შეიძინა. ფეხბურთელი უკვე ჩავიდა ბირმინგემში და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. სატრანსფერო თანხა და კონტრაქტის პირობები კი ჯერჯერობით არ ხმაურდება.

**იტალიურმა** „ინტერმა“ რუმინელი თავდამსხმელი იანის ზიკუ ბუქარესტის „დინამოში“ დააბრუნა, თუმც „შავ-ლურჯები“ მის საბოლოოდ დათმობას არ აპირებენ. სეზონი რომ დასრულდება, ზიკუ „ინტერს“ ზაფხულში დაუბრუნდებაო.

**ბრაზილიელმა** ფორვარდმა, 31 წლის მარიო ჟარდელმა ესპანურ „ალავესთან“ შეთანხმებას მიაღწია და ამიერიდან ესპანურ სეგუნდადივიზიონში ითამაშებს. ბოლოს ჟარდელი არგენტინულ „ნიუელს ოლდ ბოიზში“ ირიცხებოდა, მაგრამ ხელფასით უკმაყოფილო იყო და მასთან კონტრაქტიც ამად გაწყვიტა.

**ინგლისურმა** „ევერტონმა“ სეზონის ბოლომდე „სოსიედადის“ ნახევარმცველი მიკელ არტეტა ინათხოვრა. იგი თომას გრავესენის შემცვლელად ესახებათ. თუ არტეტა გაამართლებს, „ევერტონი“ მის კონტრაქტს საბოლოოდ გამოისყიდის.

**გერმანულმა** „შტუტგარტმა“ შვეიცარიელი ნახევარმცველი ჰაკან იაკინი ივნისამდე თურქულ „გალათასარაის“ დაუთმო. იაკინს „შტუტგარტის“ თავკაც მათიას ზამერთან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა და მეტწილად სათადარიგოთა სკამს ხეხავდა.

**ინგლისური** „პორტსმუთის“ სერბმა მწვრთნელმა ველიმირ ზაიეცმა სლოვენიელი ფორვარდი ალექსანდრ როდიჩი შეიძინა. „ჩვენ ძალიან კარგი თავდამსხმელით გავძლიერდით. იგი ჯერ მხოლოდ 24 წლისაა“ — თქვა ლონდონური კლუბის მფლობელმა მილან მანდარიჩმა.

**იტალიური** „რომას“ ფრანგი ვეტერანი მცველი ვენსან კანდელა ინგლისურ „ბოლტონში“ სეზონის ბოლომდე იჯარის წესით გადავიდა. 31 წლის კანდელამ დედაქალაქელთა ძირითადში ადგილი რომ დაკარგა, გუნდის გამოცვლაც თავადაც ძალიან სურდა. შეთანხმების პირობები არ ხმაურდება.

**შოტლანდიურმა** „რეინჯერსმა“ ჰოლანდიელ მეკარე როლანდ ვატერეუსთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჩაფრებმა“ ვატერეუსი ტრავმირებული შტეფან კლოსის შემცვლელად მიიწვიეს.

**ინგლისური** „ლივერპული“ შვეიცარიელმა მცველმა სტეფან ანშომ დატოვა და გლაზგოს „სელტიკში“ გადაბარგდა. მხარეებმა ნახევარწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი გახანგრძლივების პერსპექტივით.

**იტალიურმა** „ფიორენტინამ“ ახალგაზრდული ნაკრების ორი ფეხბურთელი — ჯამპაოლო პაცინი და მარკო დონადელი დაიმატა. პაცინის სანაცვლოდ ბერგამოს „ატალანტა“ 4,2 მილიონ ევროს და ურუგვაელ ჯანი გიგუს მიიღებს, ხოლო დონადელი „იებმა“ სეზონის ბოლომდე ინათხოვრეს. ახალგაზრდა ნახევარმცველი „მილანის“ საკუთრებაა.

**ესპანურმა** „დეპორტივომ“ „მილანის“ არგენტინელი მცველი ფაბრიციო კოლოჩინი შეიძინა. მხარეებმა ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. ფეხბურთელის ფასი და შეთანხმების სხვა დეტალები უცნობია.

**ჰოლანდიურმა** „პსვ ეინდჰოვენმა“ 23 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი რობერტი შეიძინა. კლუბმა მასში მექსიკურ „ატლასს“ 4 მილიონი დოლარი გადაუხადა, ხოლო ფეხბურთელთან სამნახევარწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ რობერტი 32 გოლით მექსიკის ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**იტალიურმა** „იუვენტუსმა“ პერსპექტიულ შვეიცარიელ ნახევარმცველ ვალონ ბეხრამთან წინასწარ შეთანხმებას მიაღწია. ახალგაზრდა ფეხბურთელი „ჯენოას“ საკუთრებაა, მაგრამ წლეულს „ვერონაშია“ განათხოვრებული.

**შვეიცარიული** „სერვეტისა“ და საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი კრისტიან კარამბუ „ბასტიაში“ გადავიდა. კონტრაქტი ხუთთვიანია, გახანგრძლივების პერსპექტივით. „ჩათვალეთ, რომ კარამბუ „ბასტიას“ ფეხბურთელია. მოხარულნი ვართ და მისი იმედიც გვაქვს“ — თქვა კორსიკელთა პრეზიდენტმა ლუი მოლტარიმ.

**გერმანულმა** „ჰანოვერმა“ მადრიდის „ატლეტიკოდან“ 27 წლის სერბი ფორვარდი ველიკო პაუნოვიჩი გადაიბირა. პაუნოვიჩმა ახალ კლუბში უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება. მის დებიუტს ბუნდესლიგაში სავარაუდოდ, მომავალ უქმეებზე ელიან.

**პორტუგალიურმა** „ბენფიკამ“ ესპანური „მალიორკასგან“ 23 წლის სერბი ფორვარდი ანდრეა დელიბაშიჩი სეზონის ბოლომდე ინათხოვრა. დელიბაშიჩი „მალიორკაში“ ბელგრადის „პარტიზანიდან“ შარშან გადავიდა, მაგრამ ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

**იტალიურმა** „სიენამ“ ორი ნახევარმცველი გადაიბირა — ბრაზილიელი ალბერტო „უდინეზედან“ და რუმინელი ალინ სტოიკა ბელგიური „ბრიუგედან“. ლუიჯი დე კანიო, „სიენას“ მწვრთნელი გაჩარხული ტრანსფერებით კმაყოფილია და ამბობს, სერია A-დან არ გავვარდებითო.

სამხრეთელი სამშაბათი

ლადო ხოშერიანი

# ოსტატმა და შეგირდმა ერთმანეთი დაამბეზღეს

## ბილარდო ბასუალდოს თურმე საწოლშიც უკვრებოდა

*არგენტინის ნაკრების ყოფილი თავკაცი, კარლოს ბილარდო ამჯერად თავის ოდინდელ მოწაფეს, ხოსე ბასუალდოს დაუპირისპირდა. ოსტატსა და შეგირდს შორის ფიცხი ომი კი ყბადაღებულმა „ბრანკოს საქმემ" გამოიწვია, რომლის შესახებ ადრეც გაცნობეთ*

*— როყიო ბილარდომ ცოტა ხნის წინ საქვეყნოდ რომ წამოაყრანტალა, 1990 წლის იტალიის მუნდიალის მერვედფინალურ მატჩში ბრაზილიელ მეტოქე ბრანკოს ძილისმომგვრელი პრეპარატით გაჯერებული წყლით გავუმასპინძლდითო*



კარლოს ბილარდოს რეპუტაცია შეელახა

**ცხადია,** ბილარდოს ნათქვამმა მეზობელ ბრაზილიაში საშინელი გამოხმაურება ჰპოვა და იქაურებმაც, სიმართლის დასადგენად საქმის დაუყოვნებლივ გამოძიება და სენიორ კარლოსის დასჯა მოითხოვეს...

და ხოსე ბასუალდოც, იმ მატჩის ერთ-ერთი მონაწილე ჰორიზონტზე სწორედ აქ ჩნდება — ძველმა შეგირდმა მასწავლებლისა თუ საკუთარი ცოდვები ყველას თვალწინ მოინანია. „ფეხბურთელებმა მშვენივრად ვიცოდით იმ ბოთლში რაც ესხა, ბრანკოს მაშინ ეს გამაბრუებელი სითხე დიდი დოზით დავალევინეთ. ცხადია, ამას მწვრთნელის გარეშე ვერ გავაკეთებდით, ისიც საქმის კურსში გახლდათ" — ცეცხლზე ნავთი დაასხა ბასუალდომ არგენტინული „ოლეს" ჟურნალისტთან საუბარში.

ბილარდო — რომლის რეპუტაციასაც შეგირდის აღიარებამდეც წყალი გვარიანად ჰქონდა შეყენებული — ბასუალდოს „ნაგვიანევმა სიმღერამ" რატომღაც საშინლად გააღიზიანა.

ერთ-ერთ არგენტინულ რადიოში გამოსვლისას მსოფლიო ჩემპიონების დამრიგებელმა ყოფილი ხელქვეითი სასტიკად გალანძღა და დაემუქრა, რომ მსგავსი გამოხდომის განმეორების შემთხვევაში, საქვეყნოდ გამოამზეურებს ვიდეოფირს, სადაც ხოსეს „კაიკაცობაა" აღბეჭდილი (სავარაუდოდ, ღამეული ორგიები): „ხოსე ბასუალდომ მე როგორ უნდა დამანამუსოს, როცა უზრდელი, თავნება და უდისციპლინო თავადაა ცხოვრებაში. თუ ტყუილების ყრანტალს არ მოეშვება, საკადრისს მიიღებს — ვიდეოფირს გაჩვენებთ მისი უწესო ღრეობებითურთ, „ბოკას" საწვრთნელი ბაზიდან ღამღამობით რომ იპარებოდა ხოლმე".

თავად ბასუალდომ, ვინაც დღეს პერუს „უნივერსიტარიოს" მწვრთნელია, განრისხებული ოსტატის მუქარას იუმორით უპასუხა: „არანორმალურ ბილარდოს ნუ უსმენთ. იგი კლუბში ისეთ ბრძანებებს იძლეოდა, რათა ჩემთვის საწოლ ოთახშიც ეთვალთვალათ. კარგია თუ იმ ფირს ფოსტით გამომიგზავნის — „ბოკა ხუნიორსში" გატარებულ დროს კიდევ ერთხელ სიამოვნებით გავიხსენებდი".

# სანჩესს დააფასეს

## ამბიციური უგო მსოფლიოსაც დაიპყრობს



უგო სანჩესი ახალგაზრდობაში

**ლეგენდარული** უგო სანჩესი მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთა ელიტაში მოხვედრით ფრიად კმაყოფილია.

საქმე კი აი, რაშია: ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ პლანეტის უძლიერეს დამრიგებელთა სიაში წარსულში დიად მექსიკელს მეცამეტე ადგილი მიაკუთვნა.

„რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია ჩემი საქმიანობა რომ დააფასეს. მომავალშიც თუ კარგად ვიმუშავე, თანდათანობით ალბათ, ჩემს ოცნებას, მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელობას მივუახლოვდები" — განუცხადა მადრიდის „რეალის" მითიურმა ფეხბურთელმა მექსიკურ სპორტულ მედიას.

უგო სანჩესმა მექსიკურ „უნამს" ზედიზედ ორჯერ მოაგებინა შინაური ჩემპიონატი, თუმცა ამბიციური სპეციალისტი მხოლოდ ლათინოამერიკულ საკლუბო დონეზე შეჩერებას არ აპირებს. „დარწმუნებული ვარ, მალე ეროვნულ ნაკრებში, ან ევროპის რომელიმე ძლიერ გუნდში მიმიწვევენ სამუშაოდ — დასძენს პირველკაცობაზე მეოცნებე სანჩესი.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი იმავე ფეხბურთის ისტორიი[illegible]ა სტატისტიკის ფედერაციის ვერსიით, ჯერჯერობით ლონდონური „ჩელსის" პორტუგალიელი თავკაცი ჟოზე მაურინიუ გახლავთ.



„ბოკა ხუნიორსი" და „რივერ პლეიტი" ერთმანეთს არასდროს დაზოგავენ

# ბუენოსაირესული ამბავი ანუ ამხანაგური ელ კლასიკო

**იანვარი** სამხრეთ ნახევარსფეროში ზაფხულის ანუ დასვენების თვედ ითვლება და უსაქმოდ დარჩენილი არგენტინული გრანდები — „ბოკა ხუნიორსი" და „რივერ პლეიტი" — მორიგი შიდაჩემპიონატის დაწყებამდე ერთმანეთს ამხანაგურად ერკინებიან. ახლაც ასე მოხდა — „რივერი" და „ბოკა" „კოპა დეზაფიოს" მოსაპოვებლად ორრაუნდიან მატჩში შეიბნენ და..

„ბომბონერას" ინჩასთა გასახარად, ჯილდო „ბოკამ" მოიგო, როდრიგო პალასიოსისა და პაბლო ლედესმას გოლებით.

გრანდთა ომი მასპინძელთა მასირებული შეტევებით დაიწყო, სტუმართა მეკარე კონსტანცოც ყოჩაღობდა, თუმც ლეონარდო ასტრადას შეგირდებმა სწრაფი გოლი მალევე გაუშვეს — მეექვსე წუთზე როდრიგო პალასიოსმა საჯარიმოში ბურთი იოლად დაიმორჩილა და ანგარიშიც გახსნა.

გატანილი გოლის შემდეგ, ორივე გუნდის მწვრთნელმა თითქმის ერთდროულად შეცვალა თავიდანვე არჩეული სათამაშო სქემა: რივერელმა ასტრადამ მოედანზე ძირითადის ხალხს უხმო, ბოკელმა ბენიტესმა კი პირიქით, სათადარიგოები გამოსცადა.

შესვენების მერე სურათი არ შეცვლილა, „რივერი" ანგარიშის გაქვითვას ცდილობდა, რაზეც ბოკელები ჭკვიანური კონტრშეტევებით პასუხობდნენ. ერთ-ერთი ასეთი იერიშისას ბენიტესის ბიჭებმა მეორე გოლიც გაიტანეს — ახალგაზრდა ლედესმამ დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა, კონსტანცომ ბურთს მხოლოდ თვალიღა გააყოლა.

# მტყუან-მართლის გარჩევა არგენტინულ-ბრაზილიურად

## არა, ორი! მაშ რამდენი? ხუთი!

**ბრაზილიურ** „კორინთიანსში" კარლოს ტევესის სადებიუტო მატჩის შემდეგ ცნობილი ხდება, რომ თურმე არგენტინელი კარლიტო ახალ კლუბს არა ხუთი, არამედ ორწლიანი ხელშეკრულებით დაუკავშირდა.

როგორც ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ პრესრელიზში წერია, ტევესის „კორინთიანსთან" თანამშრომლობა 2005 წლის 13 იანვარს დაიწყო და 2007 წლის 13 იანვარსვე დასრულდება.

იქაური სპორტული მედიაც დახლოებით მსგავს ცნობებს გვაწვდის, თუმცა „კორინთიანსის" უფროსობა კონტრაქტის ვადის შეკვეცას გადაჭრით უარყოფს:

„კარლოს ტევესთან ხუთწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. ხელშეკრულებაზე ხელი კარლოსთან ერთად სწორედ მე მოვაწერე და გარწმუნებთ, მასთან შეთანხმება 2004 წლის დეკემბერში დავდეთ, რომელიც 2009 წლის დეკემბრამდეა ძალაში" — თქვა ალბერტუ დუალიბმა, „კორინთიანსის" პრეზიდენტმა.

ბოლოს კი შეგახსენებთ, არგენტინელის ტრანსფერი ბრაზილიელებს კლუბისთვის სარეკორდო ფასად დაუჯდათ — „ბოკა ხუნიორსს" მის სანაცვლოდ 19,5 მილიონი დოლარი გადაუხადეს.



კარლოს ტევესის დებიუტი „კორინთიანსში" სკანდალურად შედგა

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# ვიტორიო პოცო

*მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი — სხვა ეპითეტით მისი შემკობა უბრალოდ შეუძლებელია: მან ოთხწლიან მონაკვეთში მსოფლიოს ორი ჩემპიონატი და ოლიმპიადა მოიგო. თუ არა უდიადესთა შორის უდიადესს, სხვას ვერაფერს უწოდებ ადამიანს, რომელმაც მსოფლიო ერთა შორის ერთ-ერთ ყველაზე შემოქმედებითს და ლაღს, იტალიელ ერს სულში რაციონალიზმის სიმი მოუძებნა, დაუჭიმა და ერთხელ და სამუდამოდ დაამკვიდრა ის, რაც აგერ უკვე ოთხმოცი წელია იტალიურ ფეხბურთად არის ცნობილი*



დაიბადა 1886 წლის 12 მარტს, ტურინში (იტალია) გარდაიცვალა 1968 წლის 21 დეკემბერს

# გენიოსი მუსოლინის ეპოქიდან

**როგორც** ხელმძღვანელი, „ილ ვეკიო მაესტრო“ იყო მკაცრი, იმავდროულად მამობრივი, ყურადღებიანი და მომთხოვნი. იგი ნებისმიერი, თუნდაც სხვა ეროვნების ფეხბურთელებისგან ითხოვდა ქვეყნისთვის თავდადებას და პირველ ჯერზე, 1934 წელს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოგებას სამკვდრო-სასიცოცხლო საქმედ მიიჩნევდა.

კაცმა რომ თქვას, ეს გასაგებიც იყო, რადგან 34-ში მუნდიალი იტალიაში ჩატარდა, ხოლო იტალია იმ წლებში ბენიტო მუსოლინის ხუფქვეშ მოქცეული ფაშისტური სახელმწიფო გახლდათ. ერთი სიტყვით, მაშინ იტალიელებმა უფრო იმიტომ მოიგეს, რომ სხვა გზა არ არსებობდა, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ, საფრანგეთში, „სკუადრა აძურამ“ მოიგო იმიტომ, რომ მწვრთნელმა დიდებული საფეხბურთო იდეები გააცოცხლა.

ახალგაზრდა პოცო ფეხით ბურთაობას ახლოს, ინგლისში სწავლისას გაეცნო. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ ეს იტალიელი ანგლოფილი ბრძანდებოდა. მას მერე, რაც 1912 წლის სტოკჰოლმისა და 1924 წლების პარიზის ოლიმპიადებზე გაუძღვა გუნდს და პარიზში ბრინჯაოს მედალიც მოიგო, პოცო იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს ანუ 1929 წლიდან მას ძალმოსილი ტექნიკური კომიტეტისგან თავისუფლება ებოძა.

1934 წელს, როგორც მოგახსენეთ, „სკუადრა აძურამ“ გაიმარჯვა. გაუჭირდათ თუ არა „ფაშისტებს“? თავიდან საბერძნეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან არ გასჭირვებიათ, 4:0 და 7:1 მოიგეს, მეოთხედფინალში კი ესპანეთი დახვდათ და გვარიანადაც დაუდგა — 120 წუთიანი ამბავი 1:1 დასრულდა, რის გამოც მეორე დღეს გადათამაშება დაინიშნა. მეორე დღეს კი ოთხმა იტალიელმა და შვიდმა ესპანელმა, მეკარე რიკარდო ზამორას ჩათვლით, მოედანზე გასვლა ვერ შეძლეს. თამაშიც, ბუნებრივია უფრო დაღლილი გამოვიდა და ლეგენდარული ჯუზეპე მეაცას ერთადერთი გოლით იტალიის გამარჯვებით დასრულდა.



1934 წელი. „სკუადრა აძურა“ მსოფლიოში პირველად ვიტორიო პოცომ გააჩემპიონა

ნახევარფინალი ნაწვიმარში, უფრო სწორად კი ტალახში ჩატარდა, მეტოქე ავსტრია იყო, ისტორიას ჯადოსნურ გუნდად შემორჩენილი. აქაც ერთი გოლი გავიდა, ოღონდ საეჭვო. ეს გოლი სამხრეთ ამერიკაში დაბადებულმა იტალიელმა (ასეთებს ორიუნდის უწოდებენ) ენრიკო გაიტამ გაიტანა. იმ შეხვედრაში ბრწყინავდა მეორე ორიუნდი — 1930 წლის მუნდიალზე არგენტინის ნაკრებში ნათამაშევი — ლუისიტო მონტი.

ფინალში მასპინძლები ჩეხებს შეხვდნენ და... 70-ე წუთზე გაშვებული გოლით აგებდნენ, მაგრამ 81-ეზე, პოცოს, მუსოლინის თუ სრულიად ფაშისტური სამშობლოს გუნდმა გააკეთა ის, რაც მოეთხოვებოდა, — რაიმონდო ორსის ლამაზი დარტყმით ჯერ გაქვითა ანგარიში, შემდეგ კი, დამატებით დროში, უფრო ზუსტად კი საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე, ანჯელო სკიავიოს მეცადინეობით გამარჯვების გოლიც შეაგდო. აქვე აღვნიშნოთ, რომ ფინალში კვლავ დიდებულად ითამაშა ჯუზეპე მეაცამ.

მაგრამ ვიტორიო პოცოს თავისი განსაკუთრებულობის დასამტკიცებლად წინ კიდევ ორი დიდი გამარჯვება ელოდა, ფაშისტური სამშობლოსგან შორს, პატრიოტიზმსა და უკიდურეს მობილიზაციაზე მეტად დიდი ფეხბურთის [illegible]ბული.

პირველი წარმატება 1936 წლის ოლიმპიური ოქრო გახლდათ, ხოლო ორ წელიწადში ამას კიდევ ერთი ტრიუმფი მოჰყვა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამასთან, 1938 წლის გუნდი ოთხი წლის წინანდელისგან პრინციპულად განსხვავდებოდა. ახალი „სკუადრა აძურა“ გაცილებით ტექნიკური იყო და ტაქტიკურადაც ინსაიდების, ჯუზეპე მეაცასა და ჯოვანი ფერარის გარშემო ჰქონდა მწვრთნელს აწყობილი. სხვათა შორის, ვიტორიო პოცოს ფეხბურთელთაგან ორგზის ჩემპიონიც სწორედ ეს მოთამაშეები გახლდნენ.

1938 წელს იტალიელებს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა პირველ ეტაპზე ნორვეგიელებმა გაუწიეს — შეხვედრის ბედი დამატებით დროში ცნობილი სილვიო პიოლას გოლმა გადაწყვიტა. შემდეგ, პოცოს გამჭრიახი გონებისა და სწორად დაგეგმილი თამაშის წყალობით, „სკუადრა აძურამ“ შეჯიბრებიდან მასპინძლები, ფრანგები გამოთიშა, ნახევარფინალში კი 2:1 მოუგო თავგასულ ბრაზილიას, რომელმაც, როგორც ჩანს, თავისი უნიკალურობა იწამა და ლეონიდასა და ტიმი „საფინალოდ“ დაასვენა. ხოლო ბოლოს იყო უნგრეთი, რომელმაც მართალია, იმაზე გაცილებით ძლიერად ითამაშა, ვიდრე ამას იტალიელები ელოდნენ, მაგრამ ტრიუმფი მაინც ვიტორიო პოცოს და მის ფეხბურთელებს დარჩათ.

„სკუადრა აძურას“ ლეგენდარული მწვრთნელი 1948 წლის ზაფხულზე დაემშვიდობა — მისი შედეგი გახლდათ 63 მოგება, 7 ფრე და 15 წაგება — რის შემდეგაც სპორტულ ჟურნალისტიკაში გასწია ჯაფა, მაგრამ... მუსოლინის დროინდელი მწვრთნელის სახელმა ძალიან შეუზღუდა ასპარეზი.

საბოლოოდ, ვიტორიო პოცო მშობლიურ ტურინში დაბრუნდა და 1968 წელს, შობამდე ოთხი დღით ადრე გარდაიცვალა.

**პაპუნა ძედია**



1938 წელი. იტალიელთა ზედიზედ მეორე ტრიუმფით თვით ბენიტო მუსოლინიმაც (შუაში) იზეიმა



კაცი-ლეგენდა — ჯუზეპე მეაცა

## ეს საინტერესოა...

როდესაც 1949 წელს „ტორინოს“ თვითმფრინავი სუპერგას მთას შეასკდა და გუნდი მთლიანად დაიღუპა, ტრაგედიის ადგილას ერთ-ერთი პირველი ვიტორიო პოცო მივიდა და გვამების ამოცნობაც სწორედ მას დაევალა.

* * *

ამბობენ, რომ მას ორი თილისმა ჰქონდა, ერთ-ერთი ადრინდელი ჯილდოს შუშის ნამსხვრევი და უკანა ბილეთი ინგლისისკენ, რომელიც ოდესღაც მისთვის ოჯახმა შეუკვეთა, თუმცა პოცოს ამ ბილეთით სარგებლობა აღარ ეწერა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 1 | ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი | 2.25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:45 | 2 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 22:45 | 3 | ჩარლტონი-ლივერპული | 2.7 | 3.3 | 2.4 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 22:45 | 4 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 2.5 | 3.3 | 2.6 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 23:00 | 5 | არსენალი-მანჩესტერი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 6 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 22:45 | 7 | ბლექბერნი-ჩელსი | 6.5 | 3.6 | 1.5 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 22:45 | 8 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 22:45 | 9 | ფულემი-ასტონ ვილა | 2.3 | 3.3 | 2.85 | 1.35 | 1.27 | 1.52 |
| 22:45 | 10 | სიტი-ნიუკასლი | 2.3 | 3.3 | 2.85 | 1.35 | 1.27 | 1.52 |

### ინგლისი. I ლიგა

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 34 | ჩესტერფილდი-ჰალი | 2.85 | 3.3 | 2.2 | 1.52 | 1.24 | 1.32 |
| 22:45 | 35 | სტოკპორტი-ბორნმუთი | 2.9 | 3.3 | 2.15 | 1.54 | 1.23 | 1.3 |

### ინგლისი. II ლიგა

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 48 | ჩესტერი-ჩელტენემი | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |

### ინგლისი. კონფერენსი

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 62 | ბარტონი-ტემუორთი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |

### იტალია. სერია A

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 94 | ფიორენტინა-პალერმო | 2.25 | 2.8 | 3.3 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| 22:30 | 95 | ინტერი-ატალანტა | 1.2 | 5.3 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.46 |
| 22:30 | 96 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.35 | 4.1 | 8.5 | 1.01 | 1.16 | 2.76 |
| 22:30 | 97 | ლაციო-ბრეშა | 1.75 | 3.1 | 5.1 | 1.11 | 1.3 | 1.92 |
| 22:30 | 98 | ლეჩე-რომა | 3.2 | 3.0 | 2.25 | 1.54 | 1.32 | 1.28 |
| 22:30 | 99 | ლივორნო-რეჯინა | 2.15 | 2.8 | 3.65 | 1.21 | 1.35 | 1.58 |
| 22:30 | 100 | მესინა-მილანი | 4.8 | 3.1 | 1.75 | 1.88 | 1.28 | 1.11 |
| 22:30 | 101 | სიენა-კალიარი | 2.3 | 2.8 | 3.3 | 1.26 | 1.35 | 1.51 |
| 22:30 | 102 | უდინეზე-კიევო | 1.7 | 3.1 | 5.5 | 1.09 | 1.29 | 1.98 |

3 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 103 | ბოლონია-პარმა | 2.05 | 2.9 | 3.8 | 1.2 | 1.33 | 1.64 |

### იტალია. სერია B

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 114 | კატანია-კატანძარო | 1.7 | 3.0 | 5.2 | 1.08 | 1.28 | 1.9 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 293 | ბასტია-ლიონი | 4.1 | 3.2 | 1.85 | 1.79 | 1.27 | 1.17 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 215 | პსვ-როზენდალი | 1.1 | 6.5 | 14.0 | 1.0 | 1.01 | 4.43 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი

3 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 224 | სიტარდი-დორდრეხტი | 3.35 | 3.3 | 1.95 | 1.66 | 1.23 | 1.22 |
| 22:00 | 225 | ჰელმონდი-ვეენდამი | 1.75 | 3.5 | 3.9 | 1.16 | 1.2 | 1.84 |
| 22:00 | 226 | ოსი-კამბური | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |

### შოტლანდია. თასი

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 291 | მოზერუელი-ჰარტსი | 3.0 | 3.2 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 292 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |

### ესპანეთი

თასი

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 276 | ოსასუნა-სევილია | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 22:00 | 277 | ნუმანსია-ატლეტიკო | 2.55 | 3.2 | 2.5 | 1.41 | 1.26 | 1.4 |

3 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 278 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 2.6 | 3.2 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |

### საფრანგეთი. თასი

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 279 | სტრასბური-სტ.ეტიენი | 2.25 | 2.9 | 3.2 | 1.26 | 1.32 | 1.52 |

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 280 | კაენი-მონაკო | 3.5 | 2.9 | 2.05 | 1.58 | 1.29 | 1.2 |

### ბელგია. თასი

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 281 | გენკი-ბეერსხოტი | 1.45 | 3.6 | 6.6 | 1.03 | 1.18 | 2.32 |
| 22:00 | 282 | ბრიუგე-ლუვიე | 1.2 | 5.4 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.5 |
| 22:30 | 283 | ლოკერენი-გენტი | 2.1 | 3.3 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 22:30 | 284 | შარლერუა-ლიერსი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |

### ჰოკეი. შვედეთი

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 333 | იურგორდენი-ტიმრე | 2.15 | 4.2 | 2.2 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 21:00 | 334 | მოდო-ლულეო | 1.65 | 4.5 | 3.0 | 1.2 | 1.06 | 1.79 |
| 21:00 | 335 | ფრიოლუნდა-ბრიუნესი | 1.3 | 4.8 | 5.0 | 1.02 | 1.03 | 2.44 |

### ჰოკეი. ფინეთი

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 348 | ჰელსინკი-იოკერიტი | 2.3 | 4.3 | 2.0 | 1.49 | 1.06 | 1.36 |
| 19:30 | 349 | ილვესი-ტაპარა | 1.8 | 4.4 | 2.6 | 1.27 | 1.06 | 1.63 |
| 19:30 | 350 | კერპეტი-იუვესკიულე | 1.4 | 4.4 | 4.8 | 1.06 | 1.08 | 2.29 |
| 19:30 | 351 | ლუკო-ესეტი | 1.6 | 4.5 | 3.2 | 1.18 | 1.06 | 1.87 |
| 19:30 | 352 | პელიკანსი-ჰაამეენლინა | 4.8 | 4.6 | 1.35 | 2.34 | 1.05 | 1.04 |

### ჰოკეი. სლოვაკეთი

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 379 | სკალიცა-დუბნიცა | 1.35 | 4.5 | 4.9 | 1.03 | 1.05 | 2.34 |
| 19:00 | 380 | პოპრადი-ჟილინა | 2.0 | 4.1 | 2.35 | 1.34 | 1.08 | 1.49 |
| 19:00 | 381 | კოშიცე-მიკულაში | 1.3 | 4.6 | 5.3 | 1.01 | 1.04 | 2.46 |
| 19:00 | 382 | ტრენჩინი-ნიტრა | 1.35 | 4.5 | 4.9 | 1.03 | 1.05 | 2.34 |
| 19:00 | 383 | სლოვანი-ზვოლენი | 1.95 | 4.0 | 2.5 | 1.31 | 1.09 | 1.53 |

### ჰოკეი. გერმანია

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 400 | ინგოლშტადი-კრეფელდი | 1.65 | 4.3 | 3.0 | 1.19 | 1.06 | 1.76 |
| 21:30 | 401 | ჰამბურგი-იზერლონი | 1.7 | 4.3 | 2.9 | 1.21 | 1.07 | 1.73 |
| 21:30 | 402 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2.85 | 4.3 | 1.7 | 1.71 | 1.06 | 1.21 |

### ჰოკეი. რუსეთი

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 409 | დინამო-მოლოტი | 1.05 | 7.0 | 10.0 | 1.0 | 1.0 | 4.11 |
| 13:00 | 410 | ს.იულაევი-აკ ბარსი | 3.8 | 4.5 | 1.4 | 2.06 | 1.02 | 1.06 |
| 13:00 | 411 | ავანგარდი-სევერსტალი | 1.3 | 4.6 | 3.8 | 1.01 | 1.0 | 2.08 |
| 13:00 | 412 | ლოკომოტივი-ნოვოკუზნეცკი | 1.4 | 4.6 | 3.9 | 1.07 | 1.03 | 2.11 |
| 13:00 | 413 | სპარტაკი-სიბირი | 1.75 | 4.4 | 2.75 | 1.25 | 1.06 | 1.69 |
| 13:00 | 414 | ლადა-ნეფტეხიმიკი | 1.3 | 4.6 | 4.0 | 1.01 | 1.0 | 2.13 |
| 13:00 | 415 | მაგნიტოგორსკი-ცსკა | 1.4 | 4.5 | 3.8 | 1.06 | 1.02 | 2.06 |
| 13:00 | 416 | ხიმიკი-აკ | 1.4 | 4.5 | 3.8 | 1.06 | 1.02 | 2.06 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.5 |
| 11002 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11003 | ჩარლტონი-ლივერპული | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11004 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11005 | არსენალი-მანჩესტერი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.5 |
| 11006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11007 | ბლექბერნი-ჩელსი | 11.0 | 11.0 | 20.0 | 12.0 | 5.0 | 3.5 | 30.0 | 12.0 | 1.9 |
| 11008 | ევერტონი-ნორვიჩი | 2.0 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11009 | ფულემი-ასტონ ვილა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11010 | სიტი-ნიუკასლი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11094 | ფიორენტინა-პალერმო | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11095 | ინტერი-ატალანტა | 1.4 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 13.0 | 13.0 |
| 11096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.7 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11097 | ლაციო-ბრეშა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11098 | ლეჩე-რომა | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11099 | ლივორნო-რეჯინა | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11100 | მესინა-მილანი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11101 | სიენა-კალიარი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11102 | უდინეზე-კიევო | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11103 | ბოლონია-პარმა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი | 2.7 | 2.0 | 3.3 | 1.14 | 1.48 | 1.24 |
| 10002 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 2.8 | 2.0 | 3.25 | 1.16 | 1.5 | 1.23 |
| 10003 | ჩარლტონი-ლივერპული | 3.1 | 2.0 | 2.9 | 1.21 | 1.49 | 1.18 |
| 10004 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 2.9 | 2.0 | 3.0 | 1.18 | 1.47 | 1.2 |
| 10005 | არსენალი-მანჩესტერი | 2.6 | 2.0 | 3.5 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10007 | ბლექბერნი-ჩელსი | 6.0 | 2.2 | 1.85 | 1.6 | 1.41 | 1.0 |
| 10008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.85 | 2.2 | 6.0 | 1.0 | 1.41 | 1.6 |
| 10009 | ფულემი-ასტონ ვილა | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10010 | სიტი-ნიუკასლი | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | 1.24 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10094 | ფიორენტინა-პალერმო | 2.7 | 2.0 | 3.4 | 1.14 | 1.5 | 1.25 |
| 10095 | ინტერი-ატალანტა | 1.3 | 3.2 | 7.0 | 1.0 | 1.09 | 2.19 |
| 10096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.6 | 2.3 | 5.6 | 1.0 | 1.24 | 1.63 |
| 10097 | ლაციო-ბრეშა | 2.1 | 2.0 | 4.4 | 1.02 | 1.42 | 1.37 |
| 10098 | ლეჩე-რომა | 3.6 | 2.0 | 2.4 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10099 | ლივორნო-რეჯინა | 2.55 | 2.0 | 3.6 | 1.12 | 1.49 | 1.28 |
| 10100 | მესინა-მილანი | 4.3 | 2.1 | 2.05 | 1.41 | 1.38 | 1.03 |
| 10101 | სიენა-კალიარი | 2.7 | 2.0 | 3.4 | 1.14 | 1.5 | 1.25 |
| 10102 | უდინეზე-კიევო | 2.05 | 2.0 | 4.8 | 1.01 | 1.43 | 1.41 |
| 10103 | ბოლონია-პარმა | 2.5 | 2.0 | 3.7 | 1.11 | 1.49 | 1.29 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი | 1.7 | 1.9 |
| 13002 | ბოლტონი-ტოტენეემი | 1.7 | 1.9 |
| 13003 | ჩარლტონი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 13004 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13005 | არსენალი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 13006 | ბირმინგემი-საუთემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | ბლექბერნი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 13008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13010 | სიტი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13094 | ფიორენტინა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13095 | ინტერი-ატალანტა | 1.8 | 1.8 |
| 13096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13097 | ლაციო-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13098 | ლეჩე-რომა | 1.6 | 2.0 |
| 13099 | ლივორნო-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 13100 | მესინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13101 | სიენა-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13102 | უდინეზე-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13103 | ბოლონია-პარმა | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ვესტ ბრომვიჩი-კრისტალ პალასი | 1.8 | 2.0 |
| 14002 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14003 | ჩარლტონი-ლივერპული | 1.95 | 1.85 |
| 14004 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.9 | 1.9 |
| 14005 | არსენალი-მანჩესტერი | 1.8 | 2.0 |
| 14006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.7 | 2.2 |
| 14007 | ბლექბერნი-ჩელსი | 2.5 | 1.3 |
| 14008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.3 | 2.5 |
| 14009 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14010 | სიტი-ნიუკასლი | 1.8 | 2.0 |
| 14094 | ფიორენტინა-პალერმო | 1.8 | 2.0 |
| 14095 | ინტერი-ატალანტა | 1.15 | 2.9 |
| 14096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.2 | 2.6 |
| 14097 | ლაციო-ბრეშა | 1.65 | 2.3 |
| 14098 | ლეჩე-რომა | 2.0 | 1.8 |
| 14099 | ლივორნო-რეჯინა | 1.8 | 2.0 |
| 14100 | მესინა-მილანი | 2.3 | 1.6 |
| 14101 | სიენა-კალიარი | 1.8 | 2.0 |
| 14102 | უდინეზე-კიევო | 1.45 | 2.4 |
| 14103 | ბოლონია-პარმა | 1.75 | 2.1 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15002 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | ჩარლტონი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | არსენალი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | ბლექბერნი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | ევერტონი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | ფულემი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | სიტი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15094 | ფიორენტინა-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15095 | ინტერი-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15096 | იუვენტუსი-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15097 | ლაციო-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15098 | ლეჩე-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15099 | ლივორნო-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15100 | მესინა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15101 | სიენა-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15102 | უდინეზე-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15103 | ბოლონია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი | 1.7 | 1.9 |
| 12002 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 12003 | ჩარლტონი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 12004 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12005 | არსენალი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 12006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 12007 | ბლექბერნი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 12008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12010 | სიტი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 12094 | ფიორენტინა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 12095 | ინტერი-ატალანტა | 2.0 | 1.6 |
| 12096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 12097 | ლაციო-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 12098 | ლეჩე-რომა | 2.0 | 1.6 |
| 12099 | ლივორნო-რეჯინა | 1.6 | 2.0 |
| 12100 | მესინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12101 | სიენა-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 12102 | უდინეზე-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 12103 | ბოლონია-პარმა | 1.7 | 1.9 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი | 1.6 | 2.0 |
| 16002 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1.65 | 2.0 |
| 16003 | ჩარლტონი-ლივერპული | 1.9 | 1.7 |
| 16004 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.75 | 1.8 |
| 16005 | არსენალი-მანჩესტერი | 1.55 | 2.1 |
| 16006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.35 | 2.55 |
| 16007 | ბლექბერნი-ჩელსი | 3.8 | 1.15 |
| 16008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.15 | 3.8 |
| 16009 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.6 | 2.1 |
| 16010 | სიტი-ნიუკასლი | 1.65 | 2.0 |
| 16094 | ფიორენტინა-პალერმო | 1.55 | 2.1 |
| 16096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.07 | 6.5 |
| 16097 | ლაციო-ბრეშა | 1.25 | 2.85 |
| 16098 | ლეჩე-რომა | 2.1 | 1.55 |
| 16099 | ლივორნო-რეჯინა | 1.45 | 2.6 |
| 16100 | მესინა-მილანი | 2.65 | 1.3 |
| 16101 | სიენა-კალიარი | 1.6 | 2.2 |
| 16102 | უდინეზე-კიევო | 1.25 | 3.15 |
| 16103 | ბოლონია-პარმა | 1.4 | 2.45 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17001 | ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ჩარლტონი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17004 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17005 | არსენალი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ბლექბერნი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17010 | სიტი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | ფიორენტინა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17095 | ინტერი-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17097 | ლაციო-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ლეჩე-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ლივორნო-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17100 | მესინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | სიენა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | უდინეზე-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ბოლონია-პარმა | 1.85 | 1.95 |

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

# ბოისა ლიუბლიანელთა ლოკომოტივია

## ამერიკაში ქართული დერბი გაძვირდა



**ბასული** კვირის მთავარი „ქართული" გუნდი „ოლიმპიაა", რომელმაც ევროლიგაშიც იმარჯვა და ადრიატიკულშიც, მოთამაშეთაგან კი კვლავაც ლიუბლიანელთა კაპიტანი ვლადიმერ ბოისა უნდა გამოვარჩიოთ.

„ოლიმპიამ" დამაჯერებლად ჩაატარა ბოლო ორი მატჩი — ჯერ ევროლიგაში „ვილერბანი" დასცა, შაბათს კი ძლიერ „ციბონას" ოვერტაიმიან ჯახში ზაგრებში აჯობა. ლიუბლიანელებმა მეტად მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვეს ევროლიგაში, რაკი „ვილერბანთანაც" რომ წაეგოთ, ჯგუფიდან გასვლის შანსს კარგავდნენ. ახლა კი ორი ტურია დარჩენილი და ორივე თამაშის მოგების შემთხვევაში „ოლიმპია" ალბათ ტოპ-16-ში მოხვდება.

სლოვენიურმა გუნდმა რომ ევროლიგაში შანსი შეინარჩუნა, უპირველესად ვლადიმერ ბოისას უნდა უმადლოდეს, რომელმაც თამაშისთვის განკუთვნილი ორმოცივე წუთი მოედანზე გაატარა და 20 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. ვოვა ასევე საუკეთესო იყო ფარკეტზე და საბოლოოდ ყველაზე მეტი, 8 მოხსნაც დაუგროვდა.

მთლად საუკეთესო არ ყოფილა, თუმც ბოისა ერთ-ერთ ამწევ ძალას წარმოადგენდა ხორვატიულ მატჩში. ოლიმპიელებმა დიდებული გამარჯვება იზეიმეს ცნობილ „ციბონასთან", რომელმაც, სხვათა შორის, უკვე დაიბევა ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის საგზური. ადრიატიკულში კი ხორვატებს ლიუბლიანელები ჯაბნიან, ცხრილშიც ზემოდან დაჰყურებენ და გასვლითი მატჩიც მოუგეს.

ზაგრებში ვოვამ 16 ქულა მოიხვეჭა და, რაც მთავარია, მატჩის გადამწყვეტ წუთებში ანუ ოვერტაიმში მოედანზე იდგა და თავისიანთა გამარჯვებაშიც თავისი საკაპიტნო წვლილი შეიტანა.

ამ ამბებში სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ საქართველოს ნაკრების კიდევ ერთ წევრ მანუჩარ მარკოიშვილს ოლიმპიელთა გამარჯვებებში წილი არ უდევს. მანო 30 წამით გავიდა მოედანზე „ციბონასთან", ევროლიგის მატჩში კი სკამიდან არ წამომდგარა.

მარკოიშვილის თანატოლსა და მეგობარს, „დიჟონში" მოთამაშე ვიქტორ სანიკიძეს კი მცირე შესვენების შემდეგ ისევ ბარაქიანი დღეები დაუდგა. „ვიკას" მუხლების ტკივილი აწუხებს და მოედანზე თავისი შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ უჩვენებს. ამიტომაც ახალი წლის შემდეგ ხეირიანად არც უთამაშია. ის მცირე ხნით, ან სულაც არ გადიოდა მოედანზე, ფიბა-ევროლიგის გასულ ტურში კი სანიკიძემ 20 წუთში 9 ქულა და 6 მოხსნა მოაქუჩა, მისმა „დიჟონმა" კი ებრაული „ნაჰარია" დაამარცხა და ახლა ჯგუფიდან გასვლის რეალური კანდიდატია.

საფრანგეთში კიდევ არაერთი ქართველის გუნდმა ითამაშა, მაგრამ ჩვენიანები მოედანზე არ გამოჩენილან. სერგო ათუაშვილი მყარად ზის „შალონის" ძირითადში, მაგრამ მხოლოდ მეთორმეტე კაცად და მოედანზე თითქმის არ გადის. ერთი-ორი მატჩი და გიორგი მამაცაშვილი პარიზული „რასინგის" განაცხადიდან გაქრა, საკუთრივ გუნდი კი, იცოცხლეთ, იგებს.

ახლახან „ურალ გრეიტში" გადასულმა გიორგი ცინცაძემ ამოისუნთქა. მეორე მატჩია, მისთვის კარგა გვარიანი დროით გაჰყავთ მოედანზე, მაგრამ შედეგიანობით, კაგლახ, ვერ დაიკვეხნის.

7-ქულიანი დებიუტის შემდეგ ცინცაძემ რუსული სუპერლიგას მომდევნო ტურის მატჩიც ითამაშა „ურალ გრეიტში", მაგრამ 18 წუთი ისე გაატარა მოედანზე, ბურთი ვერ ჩააგდო. სულაც ხუთეულში დაიწყო ურალელებთან ცინცაძესთან ერთად „სამარიდან" მისულმა იგორ ვიალცევმა და ისიც ამაოდ დაშვრა, უქულოდ დატოვა მოედანი. ისე, მთავარი ხომ მხოლოდ ქულები არ არის. ქართველმა გამთამაშებელმა 4 შედეგიანი გადაცემა გააკეთა და ერთი ბურთიც ჩაჭრა.

აი, შედეგიანობით კი ნამდვილად უნდა დაიკვეხნოს ზანგ-ქართველა შემონდ უილიამსმა, ვისმა „უნიკსმაც" გასულ კვირაში თითო მოგება-წაგება იგემა და ბორჯღალპასპორტიანი შავკანიანი კვლავ ბომბარდირი გახდა. უილიამსმა მოსკოვის ცსკა-ს ბოლმა სოფიას ცსკაზე იყარა და ბულგარელებს 21 ქულა უთავაზა. ეს გახლდათ ფიბა-ევროლიგის მატჩი, სადაც ყაზანელებს გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროებათ ჯგუფიდან გასასვლელად.

ეს ევროპაში, ოკეანგაღმა კი არშემდგარი „ქართული დერბი" გახლდათ გამოსარჩევი. ზაზა ფაჩულიას „მილუოკი" ნიკა ცქიტიშვილის „დენვერს" შეხვდა, მაგრამ ეს ახალგაზრდები ერთმანეთს მოედანზე არ შეხვედრიან იმ მიზეზით, რომ „სკიტამ" მთელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. არც ფაჩულიას უთამაშია ბევრი, 12 წუთში 4 ქულა ჩააგდო და ბოლო მატჩებში ეს იყო მისი ყველაზე უხეირო შედეგი.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ევროლიგა<br>ადრიატიკის ლიგა | ვილერბანი<br>ციბონა | შ<br>ს | 79:67<br>118:115 | 40<br>32 | 20<br>16 | 8<br>5 | 1<br>2 | 0<br>3 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ევროლიგა<br>ადრიატიკის ლიგა | ვილერბანი<br>ციბონა | შ<br>ს | 79:67<br>118:115 | არ უთამაშია<br>1 | <br>0 | <br>0 | <br>0 | <br>0 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. საფრანგეთი<br>ფიბა-ევროლიგა | ტულონი<br>ნაჰარია | ს<br>შ | 84:88<br>86:82 | 15<br>20 | 2<br>8 | 3<br>6 | 0<br>0 | 0<br>0 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | ფიბა-ევროლიგა<br>სუპერლიგა (რუსეთი) | ცსკა (სოფია)<br>დინამო (მოსკოვი) | ს<br>ს | 93:88<br>70:75 | 37<br>37 | 21<br>15 | 5<br>7 | 2<br>7 | 1<br>2 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | სლოვანი | ს | 71:75 | 6 | 4 | 2 | 0 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | შალონი | PRO A. საფრანგეთი | როანი | ს | 96:70 | არ უთამაშია | | | | |
| გიორგი მამაცაშვილი | პარიზი | ფიბა-ევროლიგა | ჰაპოელი | შ | 69:61 | განაცხადში არ იყო | | | | |
| გიორგი ცინცაძე | ურალ გრეიტი | სუპერლიგა (რუსეთი) | დინამო (რეგიონი) | ს | 83:94 | 18 | 0 | 0 | 4 | 1 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | დენვერი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | დეტროიტი<br>ინდიანა<br>მილუოკი | ს<br>ს<br>ს | 70:87<br>95:88<br>106:100 | 3<br>არ უთამაშია<br>არ უთამაშია | 0 | 1 | 1 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | ფინიქსი<br>დენვერი<br>ნიუ იორკი | შ<br>შ<br>ს | 115:121<br>100:106<br>101:96 | 13<br>12<br>24 | 13<br>4<br>13 | 7<br>2<br>7 | 0<br>0<br>0 | 1<br>0<br>0 |

**შენიშვნა**: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

30 იანვარი

**კლივლენდი 104:87 მილუოკი**

**კლივლენდი:** მაკინისი (16 ქულა, 15 პასი), სნოუ (9), პავლოვიჩი (5), გუდენი (33 ქულა, 11 მოხსნა), ილგაუსკასი (28 ქულა, 18 მოხსნა); ჰარისი (9), ტრეილორი (4), დიოპი

**მილუოკი:** უილიამსი (16), რედი (23), მეისონი (17), სმიტი (9), გადურიჩი (4); **ფაჩულია** (36 წუთი, 8 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ჯეიმსი (8), კუკოჩი (2), სტიკლენდი

**მინესოტა 84:94 საკრამენტო**

**მინესოტა:** გარნეტი (21 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), შჩერბიაკი (17)

**საკრამენტო:** მილერი (27 ქულა, 15 მოხსნა), მობლი (23), ბიბი (21)

**მაიამი 104:95 ჰიუსტონი**

**მაიამი:** ვეიდი (30), დ. ჯონსი (16), ჰეისლიპი (16), ონილი (15)

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (28), მინგი (22), სურა (21)

**ტორონტო 105:123 ფინიქსი**

**ტორონტო:** ბოში (27), პიტერსონი (24), როუზი (21)

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (27), ჯონსონი (24), მარიონი (21 ქულა, 17 მოხსნა), ნეში (19 ქულა, 12 პასი), რიჩარდსონი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**ლეიკერსი 101:90 შარლოტი**

**ლეიკერსი:** ბატლერი (20), ეტკინსი (20), მიმი (16 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ოდომი (15)

**შარლოტი:** ბრევეცი (15 ქულა, 10 მოხსნა), რაში (13)

# იაო, დეივი შეიბნენ




„მაიამისა" და „ჰიუსტონის" შეხვედრისას ჩვენი ოკეანგაღმელი კოლეგები პირველ ყოვლისა, ამ ორი გუნდის ორი გოლიათის — შაკილ ონილისა და იაო მინგის პირად დუელზე წერენ ხოლმე მომეტებულად. თუმც ახლა წინ ორი ძმის — „მაიამის" დამრიგებელ სტენ ვან განდისა და „ჰიუსტონის" თავკაც ჯეფ ვან განდის დაპირისპირება წამოწიეს. სიტყვა „დაპირისპირება" პირობითადაა ნახმარი, რაკილა ძმები — რა გასაკვირია და — ერთმანეთის მხურვალე ქომაგები არიან და ერთურთის გუნდების წაგება საკუთარივით სწყინთ.

სადღეისოდ „მაიამი" „ჰიუსტონზე" ყოჩაღი და ძმის მარცხის გამო წუხილი სტენს მოუწია, თუმც ამ მარცხში თავადაც მიუძღვის წვლილი, რა თქმა უნდა, შეგირდებთან ერთად. რა ვქნა, ვინმეს ხომ უნდა მოეგო და მე მომიწიაო — თქვა და ლამის დააყოლა — სამწუხაროდო.

სტენის შეგირდთაგან კი — არც ესაა გასაკვირი — ყველაზე მეტად ჯმუხი გამთამაშებელი დუეინ ვეიდი გამოირჩა, რომელიც, მართალია, მხოლოდ მეორე წელია ნბა-ში ბურთაობს, მაგრამ უკვე შემდგარი სუპერვარსკვლავია და მისი ჩაუქობის შემხედვარე საკალათბურთო მიმომხილველნი „მაიამის" შაკილ ონილის გუნდსაც არ ეძახიან, თუ ეძახიან და, იშვიათად.

რაც შეეხება სპილოსავით შაკილისა და ჟირაფივით იაო მინგის ჭიდილს, აქ მაინც უფრო პირველმა იყოჩაღა. მართალია, მინგმა მეტი ქულა მოხსნა შეაწია თავისიანთ და პერსონალურებიც ბლომად აჰკიდა ოპონენტს, მაგრამ ამ პერსონალურების გამო სათადარიგოთა სკამთ გაშინაურებულმა დევშაკმა 27 წუთში 15 ქულის მოხვეჭა მაინც მოახერხა და მატჩის დამლევს ერთი სამქულიანი შეტევაც გაჩარხა, რითაც გვარიანად არგო „მაიამის".

ზემოთ ვეიდი ვახსენეთ და შარშანწინდელი დრაფტის მეორე მქუხარე სახელმა ლებრონ ჯეიმსმა „მილუოკისთან" შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა, ზაზა ფაჩულიას გუნდმა კი მაინც ვერ დააღწია თავი მარცხს. „კლივლენდის" მეფარეებმა დრიუ გუდენმა და ჟიდრუნას ილგაუსკასმა პირწმინდად დაჩაგრეს მილუოკელი მეურვეები — ჯო სმიტი, დან გაძურიჩი და ამათი შემცვლელი ფაჩულიაც. ამ სამეულის 21 ქულის წილ მათ 61 ქულა მოიხვეჭეს და კლივლენდურ „კავალერიას" უპრობლემოდ მოაგებინეს შეხვედრა. გუდენისთვის 33 ქულა სამწლიან კარიერაში სარეკორდოა.

კვლავ გაილაღა „ფინიქს სანზმა", ვისთვისაც სულერთია, შინ დაუხვდება მეტოქეს, თუ სტუმრად მიუხდება. როგორც ჩვეულებრივ ხდება, „მზეების" ხუთივე დამწყებმა ბარაქიანად იხვეჭა ქულები და ამათგან ყველაზე ნაკლები — 17 ქულა კვენტინ რიჩარდსონს მოუგროვდა. გუნდის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელმა სტივ ნეშმა 19 ქულას ისევ მიაბა 10-ზე მეტი პასი და ამ ხუმრობა-ხუმრობაში კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდებისკენ.

**კოტე ყორშია**

# ძიუდოს ასაკი მოიკლო
## პირველი წელი ახალგაზრდებისაა




[illegible] ფოტო

**ერთი კვირის წინანდელ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ევროპული ძიუდოს პირველკაცების გადაწყვეტილებით მსოფლიოს სუპერთასად მონათლა, ამ უქმეებზე ტრადიციული თბილისურიც მიჰყვა, აწ უკვე მსოფლიოს თასი (ოღონდ უსუპერო) და 2005 წლის სეზონიც გაიხსნა. ძიუდოს სამყაროში ამბიციურობით ცნობილმა ქვეყნებმა ნაოლიმპიადევი შემადგენლობების დასვენება არჩიეს და გზა ნაკრებზე მეოცნებეებს, ძირითადად პერსპექტიულ ახალგაზრდებს გაუხსნეს**

**პეკინური** ციკლის პირველი სეზონი მთლიანად ახალგაზრდების უნდა იყოსო, ამბობენ სპეციალისტები, თუმც მანამდე ჯერ კიდევ დიდი დროა (სამწელიწადნახევარი) და ოლიმპიადაზე სერიოზულად არავინ ფიქრობს. დასვენებული კიმონოსანი ვარსკვლავებისა და მათ ადგილებზე ჩასაფრებული კანდიდატების უმთავრესი საფიქრალი ახლა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებია. მოსკოვის, თბილისის, პარიზის, ჰამბურგისა თუ სხვა ქალაქების მსოფლიოს თასები და სუპერთასებიც მათთვის მოსამზადებელ ტურნირებად ჩაითვლება და ალბათ შიგადაშიგ თითო-ოროლა ვარსკვლავკაცსაც გამოირევს, ზოგს წასავარჯიშებლად, უფრო მეტს კი ნაკრებში ადგილის შესანარჩუნებლად.

საქართველოს ნაკრების საევროპო შემადგენლობა ჯერაც უცნობია. შოთა ხაბარელი როტერდამში წამსვლელი შვიდეულის დასახელებას არ ჩქარობს და უმთავრეს კანდიდატებზე დაკვირვებას მანამდე დარჩენილ ტურნირებზე აპირებს.

ევროპის ჩემპიონატამდე შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს, თბილისში უმედლოდ დარჩენილებმა იქნებ სხვაგან ისე იყოჩაღონ, აქაურ ჩემპიონებს გაუსწრონ. საევროპო გუნდის ჩვეული ვარიანტის გამხელისგან თავს პირველ რიგში ამიტომაც შევიკავებთ. უბრალოდ, იმათ ჩამოვთვლით, რუსულ-ქართული პირველობების შემდეგ ეროვნულის წევრობას სადღეისოდ ყველაზე მეტად რომ იმსახურებენ.

სეზონი ჯერ არ დაუწყიათ ოლიმპიადამოვლილ დავით მარგოშვილსა (66კგ) და დავით ქევხიშვილს (73კგ), ასევე გიორგი ყიზილაშვილსა (100კგ) და ზვიად ხანჯალიაშვილს (+100კგ). ამ ბიჭების ძალაში ძიუდოში ოდნავ ჩახედული ხალხიც დარწმუნებულია, თუმც ტრავმების გამო პირობითად საიანვრო ნაკრებს უმათოდ შევადგენთ.

60 კილოგრამს ორი ლიდერი ჰყავს. ოლიმპიურ ვერცხლოსანს ნესტორ ხერგიანს გვერდით მოსკოვის სუპერთასის ჩემპიონ ვახტანგ ხოსიტაშვილს დავუყენებთ. მართალია, იგი თბილისში უმედლოდ დარჩა, მაგრამ ერთი კვირის წინ ისეთ ძლიერ მეტოქეებს სძლია, რომლებიც ჩვენს მსოფლიო თასს არ სწვევიან.

66 კილოგრამში ზაზა კედელაშვილი პირველობს. ლიტველი, იაპონელი, ფრანგი და აზერბაიჯანელი მეტოქეების ჩამოცილების შედეგად აღებული ოქრო წლეულს მისთვის ერთადერთია, თუმც სხვა შანსი ჯერ არც მისცემია. მოსკოვის ტურნირზე ხაბარელმა სხვები გამოსცადა. საკმაოდ კარგად დაიწყო სეზონი ზეზვა ებელაშვილმაც. მან იანვრის ორივე ტურნირი იჭიდავა და მოსკოვში მეშვიდე, თბილისში კი მესამე ადგილი დაიკავა.

ქევხიშვილის არყოფნაში 73 კილოგრამში საქართველოს ჩემპიონატში ნაყოჩაღევი ბიჭები გალიდერდნენ. ჩემპიონმა ტარიელ მინასაშვილმა მოსკოვურ მეშვიდე ადგილს თბილისში მესამე საპრიზო წაამატა. საქართველოს ბრინჯაოსანმა დავით კუპრაშვილმა კი მხოლოდ თბილისში იჭიდავა და ოქრომდე ერთი ნაბიჯი დააკლდა, თან მანამდე წონის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს, მოსკოვის ჩემპიონ რუს ოგიენკოს წამებში გაუსწორდა.

ყველაზე გაურკვეველ და საკამათო წონად საქართველოში უკვე კარგა ხანია 81 კილოგრამი მიიჩნევა. ეს დავა ალბათ კიდევ გაგრძელდება, თუმც იანვარი აშკარად გრიგოლ მამრიკიშვილისაა. ქუთაისელმა ძიუდოისტმა ტრადიციული თბილისური ზედიზედ მეორედ მოიგო. მისი უშუალო კონკურენტები — გრიგოლ შინჯიკაშვილი და ხვიჩა ხუციშვილი — კი უმედლოდ დარჩნენ.

ბოლო წლებში დამკვიდრებული აზრი, რომ 90 კილოგრამში საქართველოს ერთპიროვნული ლიდერი ზურაბ ზვიადაურია, ათენის ოლიმპიადის შემდეგ [illegible] დადასტურდა. მის პირველ შემცვლელად ასევე ულაპარაკოდ მინდია ბოდაველი მიიჩნეოდა, თუმც ამ უქმეების ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო სიურპრიზის ავტორი სწორედ 90 კილოგრამში მოჭიდავე ირაკლი ცირეკიძე გახდა. საქართველოს ბოლო ჩემპიონმა ნახევარფინალში ბოდაველი ჩამოიცილა და ფინალში ერთხანს ზვიადაურსაც უგებდა, თუმც ოლიმპიური ჩემპიონი მაინც პირველია.

100 კილოგრამი ამ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური წონაა. გაპირველნომრების თითქმის თანაბარი შანსი მინიმუმ ოთხ ძიუდოისტს აქვს. იანვრის რჩეული კი გია გუგავაა. მართალია, ჩემპიონობა ახალგაზრდა რუსთან იპონით წააგო, მაგრამ მანამდე ყველა მეტოქეს თავად გაუსწორდა იპონებით. თბილისის ტურნირზე ივერი ჯიქურაულმაც იჭიდავა, ბრინჯაოც აიღო, ოღონდ მძიმე წონაში და ამიტომ მშობლიურ 100-ში შეუფასებელი დავტოვეთ.

მძიმე წონაში ყველაზე საინტერესო ლაშა გუჯეჯიანისა და ალექსი დავითაშვილის ბრძოლა უნდა გამოსულიყო. სწორედ ეს ორნი მიაჩნიათ ნაკრების უმთავრეს კანდიდატებად და მომხრეებიც დაახლოებით თანაბრად ჰყავთ. მსოფლიოს თასზეც კენჭი ისე იყარა, ფინალამდე არ უნდა გადაჰყროდნენ ერთმანეთს. ნანატრი ფინალიც უნდა გვეხილა, მაგრამ..: შეხვედრა არ შედგა გუჯეჯიანის ტრავმის გამო. ჩემპიონი დავითაშვილი გახდა, მაგრამ რახან ბრძოლა ვერ ვიხილეთ, მძიმეებში ნურცერთს გამოვარჩევთ.

ამ დღეებში საქართველოს ნაკრები პარიზის სუპერთასზე გაემგზავრება. ხაბარელი თან კანდიდატთა ერთ ნაწილს იახლებს. მეორე ნაწილს 19-20 თებერვალს ჰამბურგში გამოცდის. 12-13 მარტს პრაღის ტურნირზე რჩეულებს ერთხელაც შეავლებს თვალს და როტერდამულ შემადგენლობასაც დაასახელებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

---

# უმაღლესია!
## შოთა ხაბარელის სამართლიანი არჩევნები



[illegible] ფოტო

**2005 წლის სეზონის დაგეგმვისას ქართველმა ძიუდოისტებმა გადაწყვიტეს, რომ ევროპის ჩემპიონატამდე ხუთ საერთაშორისო ტურნირზე იჭიდავებენ. მოსკოვში, თბილისში, პარიზში, ჰამბურგსა და პრაღაში ჩვენებურების მიერ ნაჩვენები შედეგებით მარტის ბოლოს საევროპო შვიდეული შედგება. რადგან ორი ტურნირი მოლეული, ნაკრების თავკაცს შოთა ხაბარელს პირველი შთაბეჭდილებების შესატყობად შევეხმიანეთ. აშკარად ეტყობოდა, რომ რუსულ-ქართული ტურნირებით კმაყოფილი დარჩენილა**

— თბილისში ქართველების გამოსვლას უმაღლეს დონეზე შევაფასებდი. ერთხელაც დავრწმუნდი, რომ ყველა წონაში ჯანსაღი კონკურენციაა. ახლა მთავარია, საუკეთესოები შევარჩიოთ. საამისოდ საკმაო დრო გვაქვს და სამართლიან არჩევანსაც გავაკეთებთ.

**— თუ საიდუმლო არაა, ვისმა ჭიდაობამ მოგხიბლათ ყველაზე მეტად?**

— ვერ ვიტყვი, ახალი სახეები აღმოვაჩინე-მეთქი, მაგრამ იყო რამდენიმე სპორტსმენი, რომლებმაც საკუთარი შესაძლებლობა განსაკუთრებულად წარმოაჩინეს.

**— ირაკლი ცირეკიძესაც ხომ არ გულისხმობთ?**

— ძალიან ძლიერია. ეს თბილისის ტურნირამდეც დაამტკიცა. ზვიადაურის შემდეგ მართლაც გამორჩეული იყო, თუმც ფინალს რომ ზურა იპონით მოიგებდა, დარწმუნებული ვიყავი. წინასწარვე ვიცოდი, ბრძოლა ამდენ ხანს რომ გაგრძელდებოდა. ორივემ ფრთხილად დაიწყო. ერთმანეთს იცნობენ და თავიდანვე თამამად ვერ შეუტიეს.

**— ევროპის ჩემპიონატზე 90 კილოგრამაში ვის დააყენებთ?**

— ცირეკიძის წაყვანა დაახლოებით ოთხმოცი პროცენტითაა გადაწყვეტილი. ზვიადაური რომ ამ ტურნირზე არ იჭიდავებს, ადრევე გადავწყვიტეთ. წლეულს მისთვის მთავარი მსოფლიოს ჩემპიონატია.

**— საევროპო შემადგენლობას როდის დაასახელებთ?**

— მარტის ბოლოს, ჩეხეთის ტურნირის შემდეგ. იგი ევროპის ჩემპიონატის გენერალური რეპეტიცია იქნება და ნაკრების ბირთვიც იქვე გამოიკვეთება.

**— პარიზის ტურნირზე წასაყვანთა სია უკვე ცნობილია?**

— პარიზის ტრადიციულ ტურნირს მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებთა ერთობლივი შეკრება მოჰყვება. ამიტომ საფრანგეთში რამდენიმე ისეთი ძიუდოისტიც მიგვყავს, რომელიც ტურნირზე არ გამოვა. სია უკვე ცნობილია.

**— ბოლოს მძიმე წონაზეც გვითხარით..**

— თბილისის ტურნირმა უძლიერესი ვერ გამოავლინა, მაგრამ არა უშავს, თავის გამოჩენის შანსს ორივეს მივცემთ — დავითაშვილსაც და გუჯეჯიანსაც.

**— საფრანგეთში ორივეს წაიყვანთ?**

— პარიზში მხოლოდ დავითაშვილი იჭიდავებს, გუჯეჯიანს კი ჰამბურგის ტურნირზე წავიყვანთ. ევროპის ჩემპიონატზე, ისევე როგორც ყველა სხვა წონაში, მძიმეშიც უძლიერესი იჭიდავებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



როჯერ ფედერერი



ლინდსი დევენპორტი

# ადი-ჩადი ნაავსტრალიევს

აჰა, გასრულდა წლის პირველი ბობოლეტურნირი და რეიტინგსიებშიც რაღაც-რაღაც ცვლილებები მოხდა. კაცთა 12-თვიან მგორავ ნუსხაში არც პირველისანი დაძრულა, რაკიღა სხვათაგან ძალიან დიდი მარაგი აშორებდა, და არც — მარატ საფინი, რადგანაც მელბურნში ნაშოვნი ქულები მესამეზე მდგომი როდიკის გადასასწრებად მაინც არ ეყო. სამაგიეროდ, კარიერის მეორე სლემტიტულის მომხვეჭი რუსი მყისვე გალიდერდა ჩემპიონთა რბოლაში, სადაც ფინალში ძლეული ლეიტონ ჰიუიტი და ნახევარფინალისტები — ფედერერი და ეგევე როდიკი მიჰყვნენ. ფინალისტობა ჰიუიტს იმითაც დაუფასდა, რომ აგერ უკვე მესამედ სახსენებელ ენდიბოის ამქრის რანგით მეორე ჩოგანი ჩამოართვა.

რაც შეეხება მდედრიონს, პირველოსანი არც აქ შეცვლილა, ხოლო კარიერის მეშვიდე სლემტიტულის მიმთვლელმა სერენა უილიამსმა კი თავისი აქამომდელი მეშვიდე ადგილი ციმციმ გადაცვალა მეორეზე. ამან დანარჩენთა თითი-თითო ალაგით ჩაქვეითება გამოიწვია. სერენაზე დიდი მხოლოდ ავსტრალიობის მოულოდნელ ნახევარფინალისტ ნატალი დეშის გამოუვიდა — ის 25-იდან უმალ მეცამეტე ალაგზე აღზევდა. მეოთხე ნახევარფინალისტი პატი შნიდერი კი მეთოთხმეტე იყო და იქვე დარჩა, რადგანაც ბოლო ოთხეულს შარშანდელ ავსტრალიობაზე უწია და ამდენად არც არაფერი დაუკარგავს და არც არაფერი შეუძენია.

## 12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები

**ვაჟები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5975 |
| 2 | (3) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 4140 |
| 3 | (2) | ენდი როდიკი (აშშ) | 3855 |
| 4 | (4) | მარატ საფინი (რუსეთი) | 3360 |
| 5 | (6) | გილერმო კორია (არგენტინა) | 2570 |
| 6 | (5) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 2480 |
| 7 | (7) | ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 2360 |
| 8 | (10) | გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 1960 |
| 9 | (9) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1945 |
| 10 | (8) | ანდრე აგასი (აშშ) | 1900 |
| 11 | (11) | იოაჰიმ იოჰანსონი (შვედეთი) | 1820 |
| 12 | (12) | გილერმო კანასი (არგენტინა) | 1559 |
| 13 | (13) | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1500 |
| 14 | (16) | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1405 |
| 15 | (26) | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 1385 |
| 16 | (15) | მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1370 |
| 17 | (16) | ტომი ჰაასი (გერმანია) | 1365 |
| 18 | (18) | ნიკოლას მასუ (ჩილე) | 1350 |
| 19 | (27) | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 1311 |
| 20 | (23) | ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) | 1290 |
| 72 | (75) | ირაკლი ლაბაძე (საქართველო) | 510 |

**ქალები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5058 |
| 2 | (7) | სერენა უილიამსი (აშშ) | 4336 |
| 3 | (2) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 4322 |
| 4 | (4) | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3934 |
| 5 | (3) | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 3738 |
| 6 | (5) | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3668 |
| 7 | (6) | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3639 |
| 8 | (9) | ვინუს უილიამსი (აშშ) | 2476 |
| 9 | (10) | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2359 |
| 10 | (12) | ალიშა მოლიკი (ავსტრალია) | 2343 |
| 11 | (11) | ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2244 |
| 12 | (13) | ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2091 |
| 13 | (25) | ნატალი დეში (საფრანგეთი) | 1685 |
| 14 | (14) | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1664 |
| 15 | (8) | ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 1598 |
| 16 | (15) | ელენა ბოვინა (რუსეთი) | 1551 |
| 17 | (18) | კაროლინა შპრემი (ხორვატია) | 1504 |
| 18 | (19) | სილვია ფარინა ელია (იტალია) | 1328 |
| 19 | (23) | ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) | 1318 |
| 20 | (17) | პაოლა სუარესი (არგენტინა) | 1287 |

## ჩემპიონთა რბოლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (0) | საფინი | 200 |
| 2 | (2) | ჰიუიტი | 183 |
| 3 | (1) | ფედერერი | 140 |
| 4 | (0) | როდიკი | 90 |
| 5 | (12) | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 73 |
| 6 | (3) | ოლივიე როხუსი (ბელგია) | 69 |
| 7 | (4) | იოჰანსონი | 68 |
| 8 | (60) | ჰრბატი | 53 |
| 9 | (0) | აგასი | 50 |
| 9 | (6) | გონსალესი | 50 |
| 9 | (0) | ნალბანდიანი | 50 |
| 12 | (8) | ტეილორ დენტი (აშშ) | 47 |
| 13 | (9) | ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 45 |
| 14 | (20) | რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 43 |
| 15 | (6) | ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 42 |
| 16 | (23) | ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 39 |
| 17 | (28) | კორია | 38 |
| 18 | (5) | მოია | 37 |
| 19 | (76) | მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 35 |
| 19 | (14) | ლოპესი | 35 |
| 130 | (0) | ლაბაძე | 1 |



ლეიტონ ჰიუიტმა კიმ კლაისტერს ბოლოს შარშან აკოცა

# კიმი იქა, ბეკი აქა

**ავსტრალიის** ღია პირველობის ფინალში მარატ საფინისგან ძლეულმა ლეიტონ ჰიუიტმა პოსტდამარცხებისეული კაეშნისგან თავი მეტად ორიგინალურად დაიხსნა — აიღო და თავის ძველ-ახალ სატრფო ბეკი კარტრაიტს ცოლობა თხოვა. ბეკის თავი არ დაუფასებია და ორი კვირის განმავლობაში კაცურად ნაჩოგნავებ ნანდაურს მყისვე დაჰყაბულდა. ეს რომ მართლაც ასე იყო და არა სხვაგვარად, მიჯნურებმა გუშინ ერთობლივი განცხადებითაც დაგვიდასტურეს. განცხადებაში სწერია, რომ მათ ერთმანეთი პირველად ხუთი წლის წინ, მავან საქველმოქმედო საღამოზე უნახავთ, მას მერე მინავლებული გრძნობები კი ხელახლა გასული წლის მიწურულს აუალებიათ და დარწმუნებულან, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება აღარ ულირთ არცა ჩირად.

იქვეა ისიცაა ნათქვამი, რომ სამარადისო სიყვარულის ნიშნად ლეიტონს ბეკისთვის გარგლი კურკი ტოლა ალმასის ბეჭედიც უფეშქაშნია. საწყალ კიმ კლაისტერსსა და იმაზე, რომ ორი წლის წინ კისკასი ოზბიჭი მისი ფუმფულა ხელისთვისაც ჩალიჩობდა, ამ განცხადებაში — ცხადია — ვერაფერს ამოიკითხავთ. თუმცა ჩვენ არაფერი გვავიწყდება, მათ შორის არც ის, რომ 21 წლის ბეკი შარშან თავადაც დაშორდა დიდი ხნის განმავლობაში ნაფერებ ბო ბრედის. ისე კი, ეს გოგონა მსახიობია და ავსტრალიური სერიალების მოყვარული თუ ბრძანდებით, ეგებ ახლა რომ მუნებური „შინ და გარეთ“ მიდის, ეგებ მასში გენახოთ. თუ არა და — ელასა, მელასა, ჭიქა გვეკიდა ყველასა, ჭირი იქა, ლხინი აქა, კიმი იქა, სლემი აქა.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS

ბეკი კარტრაიტი

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 14-30 იანვარი

# მადიარებმა ჰოლანდია გაიყვეს

ვეიკ ან ზეეს უნგრელმა ტრიუმფატორმა პეტერ ლეკომ ბოლო ტური სხვებზე ადრე დაასრულა, თვისტომ ქალბატონ იუდიტ პოლგარს გაუყო ქულა და ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. ამგვარად, მის მდიდარ კოლექციას ეს სოლიდური ტიტულიც შეემატა. ეგრეთ წოდებული დიდი სლემის სამი სუპერტურნირიდან ლეკოს ორი ჰქონდა მოგებული და კომპლექტის შესავსებად მხოლოდ ეს ჯილდოღა აკლდა.

ლეკომ პირველი ადგილი 8,5 ქულით მოიპოვა და ნახევარი ქულით გაასწრო შარშანდელ ჩემპიონ ინდოელ ვიშვანათან ანანდს. უნდა ითქვას, რომ პეტერის წარმატებაში დიდი წვრილი მიუძღვის მის იუდიტ პოლგარს. სწორედ მისი დამსახურება იყო, მეათე ტურში ლეკო რომ გალიდერდა. სუპერტურნირის ერთადერთმა ქალმა მაშინ ლიდერს, ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს მოუგო და მისი ადგილი თანამემამულეს გაუთავისუფლა. აღსანიშნავია, რომ პოლგარი ამ ტურნირამდე 14 თვე მოწყვეტილი იყო საჭადრაკო საქმიანობას, რადგან დედა გახდა და აბა სათამაშოდ სად ეცალა. თუმც, როგორც ჰოლანდიაში გამოჩნდა, ამხელა პაუზის მიუხედავად, ქალბატონი პოლგარი თეორიული მომზადებით საერთოდ არ ჩამოუვარდებოდა ვაჟბატონ დიდოსტატებს.

ლეკო-პოლგარის თამაშამდე სპეციალისტთა უმრავლესობა სწრაფ ყაიმს ვარაუდობდა. და პროგნოზიც მალევე გამართლდა. უნგრელებმა 22 სვლა გააკეთეს, ამ დროში რაც მოესწრებოდა, მაქსიმალურად უხოცეს ერთმანეთს ფიგურები, თუმც ხელმწიფეებზე არც გაუწევიათ და თამაშამდე ნავარაუდევი ზავი გამოაცხადეს.

„კენჭისყრაში გამიმართლა, თუმც სხვებს შეიძლება ეს უცნაურად მოეჩვენოთ — განაცხადა ლეკომ — 13 პარტიიდან 7-ში შავებით მომიწია თამაშმა და ამის გამო 200 პროცენტით ვიყავი კონცენტრირებული, უნდა გამომეყენებინა ყველა შანსი. ძალიან კმაყოფილი ვარ გამარჯვებით. ვეიკ ან ზეე ერთადერთი იყო იმ დიდი ტურნირებიდან, რომელიც არ მომეგო. 2002-ში დორტმუნდში ვიმარჯვე, მომდევნო წელს კი ლინარესში. საერთოდ, თუ გინდა ვეიკ ან ზეეში იპირველო, ანანდს უნდა მოუგო."

შარშან ანანდს 8,5 ქულა ეყო პირველობისთვის, თუმც ახლა ეს ვეღარ შეძლო და მეორეობა იკმარა. ბოლო ტურში იგი მასპინძელთა აუტსაიდერ ივან სოკოლოვს შეეჭიდა, რაც საკმაო ნერვების წყვეტად დაუჯდა.

უნგრელების ნაადრევი ყაიმი რომ გაცხადდა, ინდუსი მეოცე სვლამდეც არ იყო მისული და ახლა ლეკოს დასაწევად მხოლოდ გამარჯვება თუ უშველიდა. ანანდმა, როგორც ყოველთვის, თამაში აქტიურად დაიწყო. ცენტრში ფიგურების მობილიზებას მორჩა თუ არა, უმალვე გაცვლასა და სტრატეგიის განვითარებას შეუდგა. მე-14 სვლაზე მისმა კუმ სოკოლოვის ხელმწიფის ამალაში შეაღწია, პაიკი ასწაპნა და უკან დაიხია, რათა უფრო მასშტაბური შეტევა განეხორციელებინა, თუმც აღარ დასცალდა. სოკოლოვმა შავების მოიერიშე კუ მომდევნო სვლაზევე გაუცვალა ინდოელს და თამაშის სადავეებიც იგდო ხელთ. სოკოლოვი ლაზიერის ფლანგიდან ეტლითა და დედოფლით გააქტიურდა, რამდენიმე სვლაში მოარბია ინდოელის ფიგურები და 48-ე სვლაზე ანანდი არაფრისმომცემ ყაიმზე დაიყოლია.

ამ დროისთვის ტოპალოვსაც დასრულებული ჰქონდა პარტია და ფაქტობრივად, პრიზიორების ვინაობაც გადაწყვეტილი იყო.

სუპერტურნირის აღმოჩენამ, კუბელმა ლაზარო ბრუზონმა მე-10 ადგილზე დაასრულა ასპარეზობა, რაც ასეთ ბობოლა მოჭადრაკეებში ურიგო შედეგი არ არის. აღსანიშნავია, რომ კუნძულელმა მოჭადრაკემ 7 პარტია დაასრულა ყაიმით და 3-3 მოგება-წაგება დაუგროვდა. აქედან სამივე მარცხი ლიდერებისგან იწვნია, ხოლო გამარჯვებები აუტსაიდერებთან მოიპოვა.

მომავალი წლიდან A ტურნირში 15 წლის უკრაინელი სერგეი კარაკინიც ითამაშებს — ნორჩმა სლავმა ვეიკ ან ზეეს B ტურნირი მოიგო.

და ბოლოს, C ჯგუფში გამოდიოდა საქართველოში დაბადებული და ამჟამად ჰოლანდიის სახელით მოთამაშე თეა ბოსმუმ-ლანჩავა, რომელმაც მე-10 ტურიდან შეწყვიტა ასპარეზობა ავადმყოფობის გამო.

**ლუკა გეგეჭკორი**



უნგრელებმა 22-ე სვლაზე თეთრი ბაირაღი გამოფინეს

XIII ტური

პეტერ ლეკო (უნგრეთი) — იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) 0,5:0,5
მაიკლ ადამსი (ინგლისი) — ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 0,5:0,5
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — ალექსანდრო მოროზევიჩი (რუსეთი) 0,5:0,5
პეტერ სვიდლერი (რუსეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5
ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) — ნაიჯელ შორტი (ინგლისი) 1:0
ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5
რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — ლაზარო ბრუზონი (კუბა) 0,5:0,5



პეტერ ლეკო ვეიკ ან ზეეს ახალი ჩემპიონია

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 8.5 ქულა |
| 2 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 8.0 |
| 3 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 7.5 |
| 4 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 7.0 |
| 5 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 7.0 |
| 6 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 7.0 |
| 7 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 7.0 |
| 8 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 6.5 |
| 9 | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 6.5 |
| 10 | ლაზარო ბრუზონი (კუბა) | 6.5 |
| 11 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 6.0 |
| 12 | ნაიჯელ შორტი (ინგლისი) | 5.5 |
| 13 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 4.5 |
| 14 | ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) | 3.5 |

მძლეოსნობა

# კელი ჰოლმსი ხალხს ახარებს

ხუთთვიანი ზეიმის შემდეგ ათენის ოლიმპიური თამაშების ორი ოქროს მფლობელი, ბრიტანელი მორბენალი კელი ჰოლმსი საქმეს დაუბრუნდა და გლაზგოში ოთხი ათასი შოტლანდიელი მაყურებლის წინაშე დაამტკიცა, რომ კვლავ უძლიერესია — „კელვინ ჰოლში", ეგრეთწოდებულ „ნორვიჩ იუნიონ ინტერნეშენალზე", 1500 მეტრზე რბენაში პირველობა არავის დაუთმო. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, შვედეთისა და რუსეთის წარმომადგენლები.

„სარბენ ბილიკზე დაბრუნებამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. მაყურებელიც ფანტასტიკური იყო" — თქვა ვარსკვლავმა, რომელსაც ზემოხსენებულ გარბენში რუსმა სვეტლანა ჩერკასოვამ და იტალიელმა ელეონორა ბერლანდამ დიდხანს, 1200 მეტრზე თანაბრად სდიეს, მაგრამ ბრიტანელმა, როგორც საერთოდ სჩევიათ, ბოლო წრეზე ძალ-ღონე მოიკრიბა და სიჩქარე სრულად ჩართო, რის შედეგაც მეორე ადგილზე გასული (ნუ გაგიკვირდებათ და) ფრანგი ჰინდ დება ხუთი მეტრით ჩამოიტოვა. ჰოლმსის დრო გახლდათ 4:14,74.

„დღეს დროს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა — თქვა გარბენის შემდეგ ჩემპიონმა — მიზნად საკუთარი თავის დამარცხება არ მქონდა დასახული, გამარჯვებაზე არც მინერვიულია, უფრო ხალხის გახარება მინდოდა."

**ტუტა სიხარულიძე**




REUTERS გლაზგოდან

ფეხბურთი

**ინგლისი**

პირველი ლიგა
XXXI ტური
ბარნსლი 2:2 ბრედფორდი
კონფერენსლიგა
XXX ტური
დაგენემი 3:1 ძონვი

**საფრანგეთი**

მეორე დივიზიონი
XXIV ტური
ლავალი 1:0 გენიონი

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. XIX ტური
დინამო 0:1 კოტბუსი

**იტალია**

სერია C1/B. XXI ტური
ტერამო — რიმინი გადაიდო

**პორტუგალია**

სუპერლიგა. XIX ტური
სპორტინგი 1:1 სეტუბალი

**მექსიკა**

კლაუსურა. III ტური
პაჩუკა 1:3 უნამი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ბოჰემიის ძაღლები

ამაზე ლამაზი ძნელად რომ რამე იპოვო ახლა ევროპაში. ბოჰემიაში, ორლიკეს მთებში ძველისძველი და ნამდვილი შეჯიბრი გაჩაღებულა. „სედივაკუვის" ძაღლებშებმული მარხილებით რბოლა უძნელესია ევროპაში. ექვსძაღლგაბმული მარხილებისთვის მარშრუტები მთლიანად ტყიან მთებში, აღმართ-დაღმართებზე მიმდინარეობს კანადისა და ალიასკისგან განსხვავებით, სადაც ამგვარი გაჯიბრებანი უფრო დათოვლილ ველებზე იმართება. ბოჰემიაში კი თავი მოუყრიათ მთელი ევროპის მემარხილეებს.

REUTERS ბოჰემიიდან





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge